# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

№ 27 (5628)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## ორგაზმი ინგა გრიგოლიას „ჩმ-აქციაში“ ③



ქართველ ქალთა სექსუალური რევოლუცია

## დივერსიული ეთნოფაბრიკაციები - სრული სვლით ⑧-⑨

## უფროსმა ჯარისკაცი თვითმკვლელობამდე მიიყვანა ⑧

## გალში სეპარატისტებმა რამლი ჰყარონ ②

გაფრთხილება ②

## ვინც პრესისთვის შეღავათების დაწესებას მხარს არ დაუჭერს, „მემარჯვენეები“ ამ დეპუტატების გვარებს გამოაქვეყნებენ...

სპორტი ⑬

## ჩამწარებული „ნავთობს“

## „თურქი მესხების“ პრობლემა მცდარ ცნებებსა და იდეებზეა დაფუძნებული ④



1944 წელს დეპორტირებული მუსლიმანების საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის

● აფხაზები ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ. საერთაშორისო საზოგადოებრიობა რუსეთს უწევს ანგარიშს. ეს ანგარიში კი საქართველოს სისხლად, ტერიტორიის დაქუცმაცებად, სიდუხჭირედ უჯდება...



◎ პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი — კონფლიქტის ზონაში

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვიზიტი ქურთის საშუალო სკოლაში სტუმრობით დაიწყო.**



პრეზიდენტი სკოლაში ისტორიის გაკვეთილსაც დაესწრო. გაკვეთილი დაიწყო იმ მუსიკალური კლიპის ჩვენებით, რომელიც ოსი ქალბატონის ლუიზა დუდაევას ტექსტის მიხედვით შეიქმნა და ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას ეხება.

— კავკასიონის სახით ბუნებამ ქართველ ერს მშვენიერი საზღვარი, კარიბჭე უბოძა და ნაკლებადგანვითარებული უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველო ამ კარიბჭეს არ დაიცავს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა მოსწავლეებთან საუბრისას გაიხსენა ეთნიკური ოსებისა და ქართველების საუკუნოვანი მეგობრობა, მეფეთა ისტორიები, როცა ქართველ მეფეს ოსი ეროვნების ქალი მოჰყავდა ცოლად ან თავის დას ოსთა მეფეზე ათხოვებდა.

მიხეილ სააკაშვილმა სკოლაში სტუმრობის შემდეგ მოინახულა საკრებულოს შენობა, სადაც ადგილობრივი ქართველი და ოსი ეროვნების მოსახლეობისთვის, პრეზიდენტის საჩუქრის სახით, 100-100 ლარი რიგდება.

ამის შემდეგ პრეზიდენტი თამარაშენს ესტუმრა, სადაც საძირკველი ჩაუყარა ხეობაში გარე განათების სისტემის მონტაჟს.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 23 ნოემბრამდე ლიახვის ხეობაში 1000 სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას. დაგეგმილია კონფლიქტის ზონაში სპორტის სასახლის, კულტურული ცენტრისა და სპორტული მოედნების მშენებლობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

## თვის ბოლოს პარლამენტს ეწვევა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით 27 ან 28 თებერვალს წარსდგება.**

ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეებს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ შეხვედრაზე განუცხადა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მან ბურჯანაძესთან დააყენა საკითხი, რომ აღდგეს პრეზიდენტის მოხსენების ძველი ფორმატი.

კერძოდ, მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტმა, მოხსენების შემდეგ, ფრაქციების თავმჯდომარეების გამოსვლებიც უნდა მოისმინოს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პარლამენტის ბიუროს სხდომა

# ვინც პრესისთვის შეღავათების დაწესებას მხარს არ დაუჭერს, მემარჯვენეები ამ დეპუტატების გვარებს გამოაქვეყნებენ...

**პარლამენტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განხილვამდე, ნინო ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი დღის განმავლობაში ყველანი „მნიშვნელოვანი მოვლენების მომსწრენი გავხდით და საქართველოს მომავლისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა“.**

მან აღნიშნა, რომ უკვე რეალობაა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაცია. ნატოს გენერალური მდივნის თქმით, 2009 წლისთვის საქართველო, რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, ნატოში გაწევრიანდება. პარლამენტის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ ეს ხალხის ნებაზე იქნება დამოკიდებული, ხალხის ნება კი, მისი აზრით, ერთსულოვანია. „ჩვენთვის ნატო დემოკრატიული ფასეულობის და სტაბილურობის თავდებია. ამიტომ, ვისაც დემოკრატია და სტაბილურობა უნდა, მას ნატო საფრთხეს არ შეუქმნის“, — თქვა მან.

ნინო ბურჯანაძემ იქვე დასძინა, რომ ამ მხრივ, აქტიური ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ დადებითად მიიჩნია პრეზიდენტისა და ოპოზიციური ფრაქციების შეხვედრა, რაც პოლიტიკურ და საპარლამენტო პროცესებს წაადგება. ასეთი შეხვედრები კვლავაც გაგრძელდებაო, — დაგვარწმუნა.

ნინო ბურჯანაძემ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ყველა ფრაქციის ხელმძღვანელთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ პრეზიდენტი პარლამენტში მეორე სასესიო კვირას, ანუ 1-2 მარტს მივა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა კენჭის საყრელ საკითხზე — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის მიზანშეწონილობაზე და ოპოზიციას ამ საკითხის სამომავლოდ გადადება სთხოვა. „ბოლო მნიშვნელოვანი მოვლენები ცხადყოფს, რომ ეს საკითხი ჩვენს ჩაურევლადაც გადაწყდება“.

შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ილაპარაკა ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ ინიციატივაზე — საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე „საკუთრების უკანონო ხელყოფის ფაქტების დადგენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ“.

პარლამენტის თავმჯდომარეს დადგენილების ამ პროექტის ფორმულირება არ მოსწონს, სადაც პირდაპირ მითითებულია: „უკანონო“. ნინო ბურჯანაძის აზრით, სავსებით მისაღებია ეს საკანონმდებლო ინიციატივა, უნდა გამყარდეს კერძო საკუთრების გარანტიები, რაც მაქსიმალურად დაიცავს მას ხელყოფისგან.

ბურჯანაძის აზრით, შეიქმნება ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც აქტიურად იმუშავებს ამ კანონპროექტზე.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია მიესალმა ხელისუფლებისგან ასეთ შემხვედრ ნაბიჯებს, სახელდობრ იმას, რომ პრეზიდენტი შემოვიდა ამ სათანადო საკანონმდებლო ინიციატივით, მაგრამ ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, უკვე არის საკუთრების უკანონო ხელყოფის ფაქტები, ანუ ჩადენილია სამოხელეო დანაშაული. ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ. ამიტომ მანანა ნაჭყებიამ ამ საკითხის დღის წესრიგშიშეტანის პარასკევამდე გადადება მოითხოვა. „კიდევ ერთხელ განვიხილოთ, რაც მოხდა. არ გვინდა, პრეზიდენტის ამ ინიციატივის შემოტანის გამო, ვიღაც თანამდებობის პირებს დანაშაული შერჩეთ“.

ნინო ბურჯანაძემ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ იგი ელაპარაკა თბილისის მერს. მერი მზად არის, დაზარალებულებმა კომპენსაცია მიიღონ, უკანონობის ჩამდენები კი დაისაჯონ. მაგრამ ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

პარლამენტის ბიურომ იმსჯელა „საქართველოს საგადასახლო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომელიც ბეჭდვითი მედიისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას 2010 წლის 1 იანვრამდე ითვალისწინებს.

ეს ინიციატივა „მემარჯვენე ოპოზიციამ“ წამოაყენა. მანანა ნაჭყებიამ მოითხოვა პრესისთვის შეღავათების დატოვება და უმრავლესობას მხარდაჭერა მოსთხოვა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი იმის მიმართ, რომ პრესა განვითარდეს და გაძლიერდეს.

სხდომის დასრულების შემდეგ მანანა ნაჭყებიამ გვითხრა, რომ მოწინააღმდეგეები კიდევ ერთხელ მოსთხოვდნენ არგუმენტებს, მაგრამ, მისი აზრით, უმთავრესი არგუმენტი ის არის, „რის გამოც თავად პრეზიდენტმა დაუწესა პრესას შეღავათები და თქვა, დემოკრატიის განვითარებისთვის პრესის ფეხზე დაყენება აუცილებელიაო. სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში ეს ვერ მოხერხდა, რადგან ამ ყველაფერს ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ და არნახულმა ინფლაციამ შეუშალა ხელი. ამიტომ ეს საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად დადგება.

**თითოეულ პარლამენტარს მოუწევს საკუთარი პოზიციის გამოხატვა. ჩვენ გპირდებით, რომ აუცილებლად პრესის ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ, თუ ვინ დაუჭირა მხარი, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების მძლავრი ბერკეტი — პრესა ფეხზე დადგეს და ვინ — არა.**

**ასე რომ, დაველოდოთ; საინტერესო სასესიო კვირა გველის...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ცხელი წერტილი

# გალში სეპარატისტებმა რამლი ჰყარონ

## ქართველ გენერალს უთქვამს, ამერიკა შეელია კუბას და ჩვენ რით ვერ შევლევივართ აფხაზეთსო

**ეგებ, ვინმეს გადამეტებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ, რაც ე. წ. აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ე. წ. ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დროს გალის ქართველობამ ჰქმნა, იმ დროს მაგონებს, როცა სპარსის არაბის, თურქისა თუ მონღოლის ყელზე მიბჯენილი ხმალიც კი ვერ აიძულებდა ჩვენს გმირ წინაპრებს სარწმუნოებაზე, მამულზე, საკუთარ ღირსებაზე უარის თქმას.**

გავისიგრძეგანოთ: ორჯერ აყარეს და დედაწულიანად, ხოცვა-ჟლეტით, სახლკარის რბევა-ბუგვით — რათა ქართველთა სახსენებელიც აღარ დარჩენილიყო — გამოდევნეს გალელები ქართველთა სისხლით გაუმაძღარმა აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსეთის რეგელარულმა ჯარებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა. რაოდენ გაუსაძლისია გალელთათვის მამა-პაპათა მიწის ყივილი, რომ ორჯერ ამ ჯოჯოხეთგამოვლილებმა უამრავი დამცირების, ძალადობის, ყოველდღიურად სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, მაინც შებედეს მშობლიურ კუთხეში და ახლა გალის რაიონის 32 სოფელში 45 ათასამდე ქართველი მაინც სახლობს!

ესეც ხომ ძნელი გასაბედი იყო, მაგრამ ამ ღვთის ანაბრად მიტოვებულმა, უფრო ზუსტად, მთლიანად აფხაზ სეპარატისტთა ხელში, მათი ხუშტურების ნებაზე ჩამოკიდებულმა ხალხმა, ვგონებ, თავად სიმამაცეც კი გააოცა გამბედაობით — სრული ბოიკოტი გამოუცხადა ზემოხსენებულ არჩევნებს. არ გაჭრა, არც ლიქნა-ფერებამ, არც ე. წ. აფხაზთა ე. წ. აგიტატორთა მუქარამ, რაც დაგმართეთ, მონაგონი იქნება, თუ არჩევნებზე არ მოხვალთო, მძიმე სამხედრო ტექნიკაც სულ ფუჭად აღანდგარეს სოფლების შუკებში. არ მივიდნენ გალელები არჩევნებზე! გაიხიზნენ კიდეც და მტერი არ გაახარეს! არადა, მათ ხომ ისევ იქ უნდა იცხოვრონ ოჯახებით...

იძახონ ბაღაფშმა თუ ქიშმარიამ არჩევნები შედგაო, მაგრამ საქმეში ჩახედულნი იმასაც ამბობენ, თავად სეპარატისტთა კლანურ დაჯგუფებებს შორის ლამის დაკა-დაკამდე მისული განხეთქილებების, თვით ე. წ. აფხაზურ რაონებში ხალხის ძალზე უიმედო განწყობის გამო, არც გაგრაში, სოხუმსა თუ ოჩამჩირეში იქნებოდა „კვორუმიო“.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თემურ მჟავია იმას ამბობს, რასაც ყოველი ქართველი, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი იტყვის — ეს არჩევნებიც, ისევე, როგორც 1993 წლიდან მოყოლებული ყველა ე. წ. არჩევნები უკანონოა. მათ არამცთუ საქართველო, გაერო, ეუთო, ევროკავშირი არ აღიარებს,



არამედ თვით სეპარატიზმის იდეური მამა და მარჩენალი რუსეთიც კი. თუმცა, მჟავიას თქმით, არჩევნები ნამდვილად იძლევა სეპარატისტულ აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ანალიზის, სამოქმედოს სწორად, ზუსტად გარემოებასთან მისადაგებულად დასახვის საშუალებას.

გალის რაიონში ე. წ. 3 საარჩევნო ოლქში 4-4 ე. წ. კანდიდატს უნდა ეყარა კენჭი.

ვერ მიართვეს. ახლა მიდგნენ და რამლი ჰყარონ. გამძვინვარებულმა ბაღაფშმა რამდენიმე რაიონის გამგებელი მოხსნა თანამდებობიდან. ნამდვილად არ ელოდნენ სეპარატისტები, რომ ამდენი მუქარა და ძალადობა სულ წყალში ჩაეყრებოდათ. ვერ გასტეხეს გალელების სული...

მაგრამ როდემდე უნდა იყვნენ ასე უნასის ხახაში ისინი? ბატონი თემურის თქმით, საქართველომ მრავალჯერ მოითხოვა გალის რაიონის მმართველობისა და ზედამხედველობის საერთაშორისო ზონად გამოცხადება, მაგრამ არც ამას დაადგა საშველი. სხვა მხრივ საქართველოს ხელისუფლება უძალოა, თავისივე მოქალაქეების დასაცავად.

აფხაზები ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ. საერთაშორისო საზოგადოებრიობა რუსეთს უწევს ანგარიშს. ეს ანგარიში კი საქართველოს სისხლად, ტერიტორიის დაქუცმაცებად, სიდუხჭირედ უჯდება...

მაშ, გალში სეპარატისტთა არჩევნები არ შემდგარა.

მთლიანად არჩევნებს, შემდგარსა თუ შეუმდგარს, არც არავინ აღიარებს. მაგრამ სეპარატისტები, ისევ და ისევ რუსეთზე დაყრდნობით, მაინც თავისას აკეთებენ.

დრო კი მიდის. რა ხანია, გვესმის აფხაზ სეპარატისტთა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, დუმის მავან დეპუტატთა მიერ წარა-მარა გამეორებული, აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკაო. ეს ხომ გონებაში ილექება. გაუთვითცნობიერებულთათვის უკვე ჩვენ, ქართველები, ვხდებით აგრესორები აფხაზეთის თავისუფლების მოშთობა რომ გვინდა. კი, ყველა ოფიციალურ დონეზე კარგად უწყიან, რა როგორაა, მაგრამ ზემოთქმული, მერწმუნეთ, მაინც საგულისხმოა. აგერ, ერთ ქართველ გენერალს (!ძ ამ რამდენიმე წლის წინათ უთქვამს, რა გააჭირეთ ამ აფხაზეთით საქმე, აგერ, ამერიკა კუბას შეელია და ჩვენ რით ველარ შევლევივართ აფხაზეთსო...

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.



## ⊙ ჭირი დანახული ჯობს



# ორგაზმი ინგა გრიგოლიას „რე-აქციაში“,

## ანუ ქართველ ქალთა სექსუალური რევოლუცია

ჩვენ რომ სექსუალურად გაუნათლებელი ერი ვართ, თანაც ისტორიულად, იქიდანაც ცხადად ჩანს, რომ ვერა და ვერ გავმრავლდით და მცირერიცხოვან ერად დავრჩით. აგერ, ბატონო, ჩინეთი – სექსუალური განათლების ყველაზე დიდი და ნათელი მაგალითი.

ჩვენ კი მოვდივართ და მოვტირით. თუმცა, როგორც დავითის, ისე თამარის ხანაში ეს საქმე, როგორც ჩანს, უფრო მაღალ დონეზე იდგა, რადგან მაშინ თურმე თორმეტ მილიონამდეც კი მივაღწევია. მაგრამ მერე და მერე იმდენი ოხერი და მამაძაღლი შემოგვესია, სხვა რამ კი არა, თავი სად გვება, ისიც გადაგვავიწყდა. თანაც უთვალავ განძთან და საუნჯესთან ერთად, ეტყობა, ზოგი რამ ჩვენი სექსუალური საიდუმლოებიდანაც წაიღეს და გამრავალრიცხოვნების უნარიც დაგვაკარგვინეს. ამასთანავე გამრავლების მიმართ, ჩანს, ისეთი შიში დაგვიტოვეს, თითო-ოროლა შვილის მეტის გაჩენას ძალიან, ძალიან იშვიათად თუ ვინმე გაბედავს. ალბათ, იმ ძნელი ავბედობის ჟამინდელი უნდა იყოს ეს ანდაზაც: ისეთ შიშს რა ვუთხარი, მეწისქვილეს თუ ვერ ეტყვი, ძაან მსხვილად მიფქვავ, ცოტა წვრილად დამიფქვიო. ამ დღეში იყო მთელი ერი, ცხადია, მამრნიც და მდედრნიც. მეტადრე მაინც მდედრნი, რომელთა ენაპირსაც არც სიტყვა „მსხვილი“ დასცდებოდა და არც სიტყვა „წვრილი“, ემანდ მეწისქვილემ სხვანაირად, გადაკრულად არ გაიგოსო.

ეს, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი სექსუალური გაუნათლებლობის ჟამს იყო. ახლა პარასკევს ჩვენი ძვირფასი ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ მსხვილზე და წვრილზე კი არა, პირდაპირ მდედრის ორგაზმზე იყო ხმამაღალი ლაპარაკი. დიახ, დიახ, ორგაზმზე, ანუ, როგორც უცხო სიტყვათა ლექსიკონი განმარტავს, უკიდურეს აგზნებაზე, რომელიც წარმოიშობა სქესობრივი აქტის დამთავრების მომენტში. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქართველი მამაკაცები მარტო თავიანთ თავზე და თავიანთ კმაყოფილებაზე, თავიანთ ნეტარებაზე ფიქრობენ, ხოლო მდედრის სიამოვნებას არად დაგიდევენ, მარტო თავიანთი ორგაზმი ახსოვთ. და ქართველი ქალი თურმე აგრეა დაჩაგრული საუკუნეთა მანძილზე (ორგაზმს თავისი ქართული სახელიც ჰქვია, მაგრამ ქალები რახან ჯერჯერობით ერიდებიან, ამ სიტყვას მეც მოვერიდები, არ ვახსენებ.ძ...

მორჩა, ამას ბოლო უნდა მოეღოს. სულ პოლიტიკა, პოლიტიკა, პოლიტიკა. დაიღალა მაყურებელიც და მსმენელიც... და „რეაქციაში“ გაჩნდა სიახლე. პოლიტიკურ ორგაზმს სექსუალური ორგაზმი ჩაენაცვლა. შაბათკვირას, დასვენების წინა დღეს ახლა ცოტა მსუბუქ თემებსაც შევეხებითო, ბრძანა ჩვენმა მშვენიერმა ინგამ და თავისი ამჯერად ორგანზომილებიანი გადაცემის ერთ-ერთი ნაწილი მთლიანად ქალის ორგაზმს დაუთმო.

მაგრამ ეს ისე, შიშვლად კი არ წარმართა (აქ, რასაკვირველია, ტანის სიშიშვლეს არ ვგულისხმობ. ამ მხრივ გაშიშვლება, ალბათ, ამჯერად ნამეტანი იქნებოდა. მაყურებელი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს და ბოლოს და ბოლოს იქამდეც მივალთძ, თვალსაჩინოებისთვის სტუდიაში მოწვეული იყვნენ „სარდაფის თეატრის“ მსახიობები, დარბაზის ერი და რამდენიმე ცნობილი სახე. აქედან ორი მამაკაცი, ერთ-ერთი ცალსაყურიანი ვინმე ლევანი, თანამედროვე ევროპულ-ამერიკული ცხოვრების შეუვალი ადეპტი.

თუ იკითხავთ, რატომ მაინცდამაინც „სარდაფის თეატრის“ მსახიობებიო, გიპასუხებთ, რატომ და, სწორედ ამ თეატრის ქალმა მსახიობებმა აგერ, სულ ახლახან, მგონი, 9 იანვარს, მაყურებელს უჩვენეს ახალი სპექტაკლი – „სექსუალური რევოლუცია“.

როგორც კარგად მოგეხსენებათ, რევოლუციებისა და გადატრიალებების ხანაში ვცხოვრობთ და ერთ რევოლუციას თუ გადატრიალებას ყველაფერში ახალი რევოლუცია და გადატრიალება მოსდევს. ასე მოხდა ამჯერადაც. ერთ ძველ ქართულ ტერმინს თუ მოვიშველიებთ, საშოდაურწყულებლობამ თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა საქვეყნოდ, საჯაროდ, დაუფარავად...

„სარდაფის თეატრის“ სცენაზე – ქალის მიერ დაწერილ პიესაში და ქალისავე მიერ დადგმულ სპექტაკლში – ოთხი ქალი (ცხადია, მსახიობებიძ უფრო სწორად, ოთხი ქართველი ქალი, საბოლოოდ აუჯანყდა ქართველი მამაკაცების სექსუალურ ჩამორჩენილობას, ანუ სექსუალურ ეგოიზმს – სექსუალური აქტის დროს მარტო საკუთარ თავზე ფიქრს.

აი, ამ ოთხი ქალი მსახიობიდან „რეაქციის“ სტუმარი იყო სამი. ერთი, როგორც აღნიშნეს, საპატიო მიზეზით ვერ მოვიდა. მაგრამ, სცენისაგან განსხვავებით, სტუდიაში სამიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქალური სექსუალიზმის არსში, კერძოდ, ქალის ორგაზმის ბუნებაში თვალცხადლივ „ჩაეხედებინათ“ ასი ათასობით მაყურებელი. ცოტა შმუშვნით, ცოტა ვითომ უხერხული თუ დანაშაულებრივი ღიმილით, ცოტა ჩოთირ-ჩოთირით, მაგრამ მაინც თვალცხადლივ. თანაც აღშფოთებით, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ჩვენ ხომ ის ქალები აღარა ვართ, ჩვენი ბებიები და ბებიების ბებიები რომ იყვნენ, რომელთაგან ძალიან ბევრი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ორგაზმი რა იყო, არ იცოდაო. ერთ-ერთი მსახიობი, როგორც თავად აღნიშნა, გაუთხოვარი, პირდაპირ გაენდო მაყურებელს, ორგაზმი ცხოვრებაში არ განმიცდიაო. მართლაც, დიდი რამ არის გულახდილობა. მეტადრე მსახიობისთვის და თანაც ისეთ საქმეში, როგორიც სექსი და, მით უმეტეს ორგაზმია (ეტყობა, ეს ჩვენი გაუთხოვარი ქალბატონი ვერც მასტურბაციაში ერკვევაძ.

„რეაქციამ“ კულმინაციურ წერტილს კი მაშინ მიაღწია, როცა ჩვეულებისამებრ მკლავებაკაპიწებულმა ინგამ სპექტაკლის მონაწილე ერთ-ერთ მსახიობს სახეგაბრწყინებულმა ჰკითხა: როგორი უნდა იყოს ქალი სექსის დროსო. როგორი და, აქტიური, იყო მყისიერი პასუხი. მაგრამ პასუხს ახალი კითხვა მოჰყვა, მაინც როგორი აქტიურიო.

და კარგა ხანს სწორედ ამაზე გაიმართა მსჯელობა, რას ნიშნავს ქალის აქტიურობა სექსის დროს, ანუ გზა აუცილებელი ორგაზმისაკენ, რადგან ისე სექსუალურ ცხოვრებას (ან იქნებ საერთოდ ცხოვრებასაცძ აზრი არა აქვსო. ბოლოს ის აზრიც გამოითქვა, ასეთი სპექტაკლები ხალხის „სექსუალურ განათლებას“ უწყობენ ხელსაო (ჩანს, განათლების რეფორმამ უკვე აქაც იჩინა თავი!ძ. თუმცა სულაც არა მგონია, რომ ეკონომიკურად არცთუ მაინცდამაინც დალხენილმა „სარდაფის თეატრმა“ ჩვენში ერთ დროს არსებული სანკულტურის, ანუ სანიტარიული კულტურის თეატრის როლი იკისროს.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ფრიად თვალმწყაზარმა და ენაწყლიანმა ინგა გრიგოლიამ ახალ ამპლუაში ბევრად უკეთესად, უფრო ბუნებრივად და ხალასად გვიჩვენა თავი, ვიდრე ადრე პოლიტიკური გადაცემების მიხედვით ვიცნობდით. და თავის ქალ სტუმრებთან ერთად ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმ ძველი ქართული ანდაზის სისწორეში, რომელიც ამბობს, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარ-კამეჩს აჯობებსო.

მართლაც, ძლიერი „რეაქცია“ გამოვიდა, რომელიც შუაღამემდე გაგრძელდა, და, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ერის გამრავალრიცხოვნების საკითხი სულაც იმ ღამეს, იმ 9 თებერვლის პარასკევს გადაწყდა!..

არადა, დემოგრაფიულად რა დღეშიც ვართ, ხომ ვიცით. მთელი ამ ჩვენი ეროვნული უბედურების მთავარი მიზეზი კი ქართველი ქალის უორგაზმობა ყოფილა!

ამიტომ სრულიად უადგილო და არადროული იყო, ვიღაც ჩამორჩენილი და სექსუალურად განუვითარებელი ქართველის „SMS“-შეძახილი, ეკრანზე „რეაქციის“ ბოლოს რომ გამოჩნდა: რა დროს ორგაზმია, თქვე ამძუნებულნო, ქვეყანა თავზე გვექცევაო...

გურამ გოგიაშვილი




**მინაწერი:** ათასჯერ და ათი ათასჯერ არა ხარ მართალი, შე მართლა ჩამორჩენილო და სექსუალურად განუვითარებელო ქართველო, განა რა იქნება იმაში ცუდი, თუ „რეაქციის“ მეორე თუ მესამე „მსუბუქ ნაწილში“ ამიერიდან თვალსაჩინოდაც ვიხილავთ ჩვენი „დემოგრაფიის გაჯანსაღებისათვის“ ესოდენ საჭირო ხერხებსა და ილეთებს. მით უმეტეს, რომ ამ დიდი ეროვნული საქმისათვის ფრიად და ფრიად მშვენიერი წამყვანის გარდა, თვითონ ჩვენი ქართველი მსახიობი ქალებიც უკვე მზად არიან. მორჩა, მორჩა, როგორც ჩანს, ისტორიულად საქართველო სწორედ ქართველ ქალთა სიმორცხვემ და კდემამოსილებამ დაღუპა. დღეს რაღა დროს სიმორცხვე და კდემამოსილებაა, როცა გადაგვარებისა და გადაშენების პირასა ვართ მისული დიახაც ჩვენი სექსუალური განუვითარებლობისა და გაუნათლებლობის გამო?!

აი, რატომ უნდა გამოვხატოთ ჩვენი აღფრთოვანებული რეაქცია როგორც თვითონ „რეაქციის“, ისე ჩვენი რეფორმატორი ინგა გრიგოლიას ამ უაღრესად გაბედული, ერის გასამრავლებელი სიახლის ყოველი ხილვისას.

და, დასასრულ, სრულიად გულწრფელად უნდა შევძახო: გაუმარჯოს ორგაზმს, გაუმარჯოს სექსუალურ რეფორმებს ინგა გრიგოლიას „რე-აქციაში“!

გ. გ.

## ⊙ ინფორმაცია

### სეპარატისტ ჟურნალისტთა ასოციაცია

სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ჟურნალისტთა ასოციაცია შეიქმნა. აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის იდეა, ოსური მხარის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მასმედიის წარმომადგენლებს ეკუთვნით.

ასოციაციის ხელმძღვანელად, ცხინვალის რეგიონში არსებული გაზეთ „რესპუბლიკას“ ე.წ. მთავარი რედაქტორი ანდრეი კოჩიევი აირჩიეს.

ასოციაცია საკუთარი დანიშნულების მიზნად, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის მასმედიის წარმომადგენლების უფლებების დაცვას მიიჩნევს.

მომავალში სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ჟურნალისტთა ასოციაცია, ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის ანალოგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას გეგმავს.

### ბაღაფშმა გატაცებული სიგუას ოჯახი მოინახულა

აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფშმა გალში გალის ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გატაცებული თავმჯდომარის დავით სიგუას ოჯახის წევრები მოინახულა.

აფხაზ სეპარატისტთა საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლის კრისტიან ბჟანიას განმარტებით, სერგეი ბაღაფში დავით სიგუას მეუღლესა და დას დაპირდა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს დავით სიგუასა და ფრიდონ ჩაკაბერიას განთავისუფლების საკითხზე.

ბაღაფშის თქმით, სიგუა და ჩაკაბერია საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

„ისინი აქტიურად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს და რეგიონის აღორძინების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ კი ამგვარი ნაბიჯი გალის რეგიონის მოსახლეობის დაშინების მიზნით გადადგა და ეს დანაშაული პოლიტიკური ხასიათისაა“, – განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.

ჯი-ეიჩ-ენი

### ტრაგედია ოჩამჩირეში

აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის რაიონში სასწრაფო დახმარების მანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა.

როგორც აფხაზური სააგენტო „აპსნიპრესი“ დე ფაქტო რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ მარშანიას განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, სასწრაფო დახმარების მანქანით მედდებს სოხუმის საავადმყოფოში ხელმოტეხილი ქალბატონი გადაჰყავდათ.

ავტომანქანა დიდი სისწრაფით მოძრაობდა, რის გამოც მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ავარიაში მოყვა. ინციდენტის შედეგად სასწრაფო დახმარების მანქანა აფეთქდა, ხოლო მძღოლი, ერთ-ერთი მედდა და პაციენტი გარდაიცვალნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მხოლოდ ერთი მედდა გადარჩა, რომელიც ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

# გუშინ, დღეს

**1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გაასახლეს არა მარტო მუსლიმანი მესხები და თურქები, არამედ აზერბაიჯანელები, თარაქამები, ანუ ყარაფაფახები (თურქმენელი აზერბაიჯანელები), ხემშილები (მუსლიმანი სომხები), ქურთები და დაუშვებელია მათი ერთ, ისტორიულად არარსებულ, ეთნოსად „თურქ მესხებად" წარმოჩენა. ესეც რომ არ იყოს, 1944 წელს მუსლიმანების დეპორტაცია მოხდა არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებიდანაც, საქართველოს ფარგლებს გარეთ**



## ინფორმაცია

### გალელებმა არჩევნები ჩაშალეს?

გალის რაიონში, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ქართული მხარის მონაცემებით, ქართველი ეროვნების ამომრჩეველთა დაახლოებით 7 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის წარმომადგენლობაში განაცხადეს, წარმომადგენლობაში უკვე დამუშავებულია 25 სოფლისა და ქალაქ გალის 5 უბნის მონაცემები.

ამ მონაცემთა მიხედვით, ყველაზე მეტი ამომრჩეველი მივიდა გალის რაიონის სოფელ მზიურში და გალის რაიონის სოფელ ფიჩორში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი ეროვნების პირები წარმოადგენენ.

რაც შეეხება გალის რაიონის სოფელ ჩხორთოს, სადაც აფხაზი ეროვნების ამომრჩევლები ჭარბობენ, აქ არჩევნებზე 1000-ზე მეტი ამომრჩეველი მივიდა.

ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლის გია ლომიას მონაცემებით, დე ფაქტო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლები გაყალბებულია. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ღუმურისში მხოლოდ 100-მდე ამომრჩეველი მივიდა და 300-ზე მეტია ნაჩვენები.

რაც შეეხებათ სხვა სოფლებს, სოფელ რეჩხში არჩევნებზე 150 ამომრჩეველი მივიდა, სოფელ ჯგალში – 7, ასევე 7 ამომრჩეველი დაფიქსირდა სოფელ ნაბაკევში, ზემო ბარღებში – 179, თაგილონში – 118, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია სოფელ სიდაში, სადაც 203 ამომრჩეველმა მისცა ხმა.

ე.წ. თვითმმართველობის არჩევნები აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 11 თებერვალს გაიმართა.

### ქიშმარია — გალის კურატორი

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობაში გუშინ საგანგებო სხდომა ჩატარდა.

„ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა რუსლან ქიშმარია გალის რაიონის კურატორად დანიშნა და შექმნა ახალი სამსახური, რომელიც ე.წ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დაგეგმვის მიზნით მოსახლეობასთან მუშაობას წარმართავს.

ამასთან, რუსლან ქიშმარიამ უკვე გაატარა საკადრო ცვლილებები. ერთ-ერთი ინფორმაციით, მან თანამდებობიდან გაათავისუფლა დალი ხალვაში, რომელიც აფხაზური ადმინისტრაციის მიერ სოფელ ოტობაიას გამგებლად იყო დანიშნული.

წინასწარი ინფორმაციით, თანამდებობიდან გათავისუფლებულია, აგრეთვე, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი ედიკ ემი-ზადეც.

საკადრო ცვლილებები 11 თებერვლის ე.წ. თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის დაბალ აქტივობას უკავშირდება. არსებული ინფორმაციით, ამ ფაქტს სერგეი ბაღაფშსა და ე.წ. ვიცე-პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას შორის დაპირისპირება მოჰყვა.

**ინტერპრესნიუსი**

## თემა

*ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ რაც სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის საქართველოდან მუსლიმანური მოსახლეობის დეპორტაცია განხორციელდა. დეპორტირებულთა და მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლების პრობლემის გადაჭრაში ჩართულია: პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციები, პოსტსაბჭოთა სივრცის და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელისუფალნი, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, თვით დეპორტირებულთა საზოგადოებები და სხვანი. სამწუხაროდ, რეალური შედეგი არ ჩანს. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ დღემდე სარწმუნოდ არაა ცნობილი, თუ რატომ მოხდა მუსლიმანების დეპორტაცია, სამხრეთ კავკასიის რომელი რეგიონიდან განხორციელდა ეს აქცია, როგორი იყო დეპორტირებულთა და მათი შთამომავლების რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა?*

*პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და ხალხებისათვის, რადგან ოფიციალურად აღიარებულია, რომ 1944 წელს მაჰმადიანების დეპორტაცია მოხდა მხოლოდ საქართველოდან და მისი ძირძველი მხარიდან სამცხე-ჯავახეთიდან, რომ ეს მხარე წარმოადგენს დეპორტირებულთა „ისტორიულ სამშობლოს" და ამ მხარეში უნდა განხორციელდეს მათი კომპაქტური ჩასახლება. ამასთან დაკავშირებით მსურს გაზეთის მკითხველს გავუზიარო ზოგიერთი ჩემი მოსაზრება, რაც ხელს შეუწყობს მის სამართლიან განხილვა-გადაწყვეტას.*

# „თურქი მესხების" პრობლემა მცდარ ცნებებსა და იდეებზეა დაფუძნებული

## 1944 წელს დეპორტირებული მუსლიმანების საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის

უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაისინჯოს თვით ტერმინის „თურქი მესხების" და მასზე დაფუძნებული ეთნოსის გამოყენების უფლებამოსილება. ექსპერტთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ტერმინი მიუღებელია, რადგან ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება იყოს თურქიც და მესხიც (ქართველიც). თურქი, საიდანაც არ უნდა იყოს წარმოშობით, საქართველოდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, თუ რუსეთიდან, თურქეთში და სხვადასხვა რეგიონში დაბადებულმა თუ მცხოვრებმა თურქმა ამის გამო არ შეიძლება შეიცვალოს ეროვნულობის (ეთნოსის) დამადასტურებელი სახელი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გაასახლეს არა მარტო მუსლიმანი მესხები და თურქები, არამედ აზერბაიჯანელები, თარაქამები, ანუ ყარაფაფახები (თურქმენელი აზერბაიჯანელები), ხემშილები (მუსლიმანი სომხები), ქურთები და დაუშვებელია მათი ერთ, ისტორიულად არარსებულ, ეთნოსად „თურქ მესხებად" წარმოჩენა. ესეც რომ არ იყოს, 1944 წელს მუსლიმანების დეპორტაცია მოხდა არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებიდანაც, საქართველოს ფარგლებს გარეთ (ამაზე ქვემოთ).

საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ არსებულ რეგიონებში ძალზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, საზღვრის მეორე მხარეს კონცენტრირებული იყო გერმანიის მოკავშირის –თურქეთის დიდძალი ჯარის ნაწილები, რომლებიც მზად იყვნენ, ხელსაყრელ მომენტში, განეხორციელებინათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა და ამიერკავკასიაში შემოჭრა, რათა ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მანგანუმი, ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირი. ამასთან, თურქეთს მიზნად ჰქონდა დასახული დაებრუნებინა XVI საუკუნეში ანექსირებული და XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომებში დაკარგული ქართული რეგიონები (სამცხე-ჯავახეთი და აჭარა) და აღედგინა ახალციხის საფაშო. თურქეთის მოზავავებულ ძალებს საბჭოთა ჯარების სარდლობამ დაუპირისპირა 1942 წელს ირანის კომპანიიდან გამოთავისუფლებული და სამხრეთ კავკასიაში სასწრაფოდ გადმოსროლილი ჯარის ნაწილები.

1942 წლის მეორე ნახევარსა და 1943 წლის დასაწყისში კავკასიის ფრონტზე ძალზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ცენტრისა და აღმოსავლეთის რეგიონებისგან. ფაშისტთა რჩეული ნაწილები გაიჭრნენ სტალინგრადისაკენ და კავკასიის ქედის გადასასვლელებით ცდილობდნენ ამიერკავკასიაში შეჭრას. გახშირდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შემთხვევებიც. გაიზარდა თურქეთის ჯარების ამიერკავკასიაში შეჭრის ალბათობაც (მოიაზრებოდა ჰიტლერის მიერ დაგეგმილი სტალინგრადის დაცემის დრო – 1942 წლის ივლისი-აგვისტოძ.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს 1942 წლის 31 ივლისის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თურქეთიდან შემოგზავნილი დივერსიული ჯგუფები სარგებლობდნენ ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის მხარდაჭერით, და საჭიროდ ჩათვალეს „საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კპ (ბ)ძ ცენტრალური კომიტეტებისა და სახკომსაბჭოებისთვის ეთხოვათ, უმოკლეს ვადაში განეხილათ შავიზღვისპირა და საბჭოთა კავშირ თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ 25-30 კმ. ზონებში, კერძოდ, ქალაქებიდან: სოჭიდან, ადლერიდან, გაგრიდან, გულრიფშიდან, გუდაუთიდან, სოხუმიდან, ოჩამჩირედან, ფოთიდან, ქობულეთიდან, ბათუმიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან, ლენინაკანიდან, კიროვაბადიდან, ნახჭევანიდან სოციალურად საშიში და პოლიტიკურად არასაიმედო პირების გასახლების საკითხი" ჩემთვის ისევე როგორც საზოგადოებისთვის უცნობია თუ რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა ამ დადგენილების განხილვას თბილისში, ერევანში, ბაქოსა და მოსკოვში. ცნობილია მხოლოდ ისტორიკოს შოთა ნოზაძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის არქივში მიკვლეული მასალა დაგვიანებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ 1944 წლის მაისში საქ. კპ (ბ)ძ ცკ-ის მდივნის კანდიდ ჩარკვიანისა და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომირის ვალერიან ბაქრაძის ხელმოწერით ლავრენტი ბერიას სახელზე გაგზავნილი ყოფილა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონებიდან გასახლებას ექვემდებარებოდა 14460 ოჯახი, 77500 სულით. რეკომენდებული იყო ამ რაიონების მუსლიმანი მოსახლეობიდან ადგილზე დაეტოვებინათ ქურთთა 961 ოჯახი (6,65%ძ, 200 არასაიმედო ოჯახი (1,38%ძ უნდა გაესახლებინათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო დანარჩენი ოჯახები (92%ძ ჩაესახლებინათ საქართველოს შიდა რაიონებში. წერილში ჩამოთვლილია 22 რაიონი, სადაც დაასახლებდნენ სასაზღვრე ზონიდან გამოსახლებულებს, ამასთან საჭირო იქნებოდა აეშენებინათ 10000 ბინა და 4000 მიწური და ფაცხა, რასაც დასჭირდებოდა 120 მლნ. მანეთის სახელმწიფო ასიგნება.

1943 და, განსაკუთრებით, 1944 წელს მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტებზე მკვეთრად შეიცვალა. 1943 წლის იანვარში ფაშისტების მიერ სტალინგრადთან განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ თურქეთმა ვეღარ გაბედა საბჭოთა კავშირზე გალაშქრება. იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში გაიმართა მოლაპარაკება მოკავშირეებსა და თურქეთის ხელისუფლებას შორის. მოკავშირეები მოითხოვდნენ, თურქეთს კავშირი გაეწყვიტა ფაშისტურ გერმანიასთან და მის წინააღმდეგ დაეწყო საომარი მოქმედება. მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, ასევე უშედეგოდ დამთავრდა 1944 წლის ზაფხულში თურქეთის ხელისუფლების თხოვნით გამართული მოლაპარაკებაც. თურქეთი აშკარად მიმართავდა დროის გაყვანის ტაქტიკას. მოკავშირეთა მოთხოვნას იგი დათანხმდა მხოლოდ 1945 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც 1944 წლის აგვისტო-სექტემბერში რუმინეთმა და ბულგარეთმა გაწყვიტეს კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან და მოკავშირეთა მხარეს გადავიდნენ. იმავე წლის 9 სექტემბერს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მარშალ თ. ტოლბუხინის მეთაურობით გაათავისუფლეს გერმანელების მიერ კონტროლირებადი უკანასკნელი ქალაქი და ნავსადგური შავ ზღვაზე – ბურგასი და თურქეთის დასავლეთ საზღვრებს მიადგნენ.

წითელი არმიის მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ელვისებური დარტყმა განეხორციელებინა თურქეთზე, როგორც დასავლეთიდან ისე აღმოსავლეთიდან, კონტროლი დაემყარებინა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე და დაებრუნებინა ოსმალეთის მიერ XVI საუკუნის დამლევს ანექსირებული საქართველოსა და სომხეთის მიწები. შექმნილ ვითარებაში არც საქართველოს ხელისუფლების 1944 წლის მაისის ხსენებული რეკომენდაცია დაივიწყეს და სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში გადაწყვიტეს თურქეთის წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის წინ საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ არსებული რეგიონებიდან განეხორციელებინათ მუსლიმანების დეპორტაცია, რაც განხორციელდა კიდეც 1944 წლის სექტემბერ-ნოემბერში. თურქეთის წინააღმდეგ გალაშქრების მცდელობის აზრს ადასტურებს იმჟამად მასმედიაში გამოქვეყნებული პრეტენზიები თურქეთის მიმართ, აგრეთვე ის გარემოება, რომ 1945 წლის 19 მარტს საბჭოთა მთავრობამ გააუქმა თურქეთთან დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. დაუჯერებელია, რომ ამ დროს მუსლიმანების დეპორტაცია განხორციელებული იყო სსრკ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ საქართველოს მონაკვეთზე და მას არ მოეცვა სამხრეთ კავკასიის დანარჩენი რეგიონები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა სარდლობის ჩანაფიქრის დასკვნითი ეტაპი თურქეთზე ელვისებური შეტევის შესახებ მაინც არ შედგა მოკავშირეთა წინააღმდეგობის გამო. რადგან ისინი შიშობდნენ, რომ თურქეთის დამარცხების შემთხვევაში გაიზრდებოდა საბჭოთა კავშირის გავლენა შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე, რაც მოკავშირეთა გეგმაში არ შედიოდა.

აღსანიშნავია, რომ მუსლიმანების საკუთარი ტერიტორიიდან დეპორტაციის ფაქტი აღიარა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებამ და ამის გამო ევროსაბჭოს წინაშე აიღო კიდეც ვალდებულება: „1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანების და მათი შთამომავლობის რეაბილიტაცია-ადაპტაციის და საქართველოში ჩასახლების შესახებ". სამწუხაროდ ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნების ხელისუფალნი ამ ფაქტს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

ამის გამო დასანანია, რომ დღემდე სარწმუნოდ არაა ცნობილი ის რეგიონები, საიდანაც სინამდვილეში მოხდა მაჰმადიანების დეპორტაცია, აგრეთვე დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა. მასმედიაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა 70 ათასიდან 265 ათასამდე მერყეობდა. სარწმუნოდ მიმაჩნია დოც. შოთა ნოზაძის მიერ სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში (ქ. პოდოლსკიძ მიკვლეული მასალა, საიდანაც ჩანს, რომ 1944 წელს საქართველოდან გაუსახლებიათ მუსლიმანთა 15568 ოჯახი, 69869 სულით. მათ შორის: თურქი 57780 (85,5%ძ, ქურთი 8667 (12,4%ძ, თარაქამი და ხემშილი 1462 (2,1%ძ.



**ალექსი მიქელაძე,**
**პროფესორი**

**(გაგრძელება იქნება)**

● ვინც თვალყურს ადევნებს უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებებსა და ეპისტოლეებს, ალბათ, შეამჩნევდა, რომ ძველი ეკლესიების განახლების საკითხი მუდამ განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი



◎ უპირველესად იყო სიტყვა

# ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა?

**იყო დრო, როცა ბედნიერება მქონდა სისტემატურად შევხვედროდი ჩვენი ერის სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და მიმეღო მისგან ლოცვა-კურთხევა, რჩევა-დარიგება, მეგრძნო მისი სითბო და სიყვარული.**

არც ისე ბევრს რგებია პატივი იმისა, რომ მოწიწებით დაეხარა თავი მის მოსასვენებელ სენაკში და ეხილა მისი მშობლების ფოტოსურათი, წმინდანთა ის რელიქვიები, რომელთაც მოკრძალებულ თაყვანს სცემდა თვით პატრიარქი.

ერთხელაც, როდესაც ვაკვირდებოდი მეუფის მშობელთა სახეებს, უწმინდესმა საოცარი რბილი ხმით ბრძანა:

– ჩემი ძვირფასი მშობლები არიან!..

ამ სიტყვებში იგრძნობოდა უდიდესი მოწიწება მშობლების მიმართ. მერე, წლების განმავლობაში, ოფიციალურ შეხვედრებზეც მიგრძვნია პატრიარქის მადლი და რამდენჯერმე ფოტოფირზეც აღმიბეჭდავს მისი წმინდა სახება.

ერთხელ, „ყოველთა ქართველთა“ პატრიარქი ვუწოდე მას.

უწმინდესმა ნათელი ღიმილით შემომხედა და მხოლოდ ორი სიტყვა თქვა:

– ღმერთმა ქნას!.. ღმერთმა ქნას!..

მხოლოდ მერე გავიგე, – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ოდენ სრულიად საქართველოს პატრიარქი ყოფილა და არა – ყოველთა ქართველთა!

მეუცხოვა და მეტკინა კიდეც! თუ სომეხთა პატრიარქი ყოველთა სომეხთა პატრიარქია, რატომ არ არის საქართველოს პატრიარქი სრულიად ქართველთა სულიერი მოძღვარი?

ერთხელ ახალი ეკლესიების მშენებლობაზეც წამოიჭრა საუბარი. ერთ-ერთმა ჩვენგანმა მორიდებით მიმართა უწმინდესს:

– ბევრგან დაიწყეს ახალი ეკლესიების მშენებლობა და...

– ახალი ეკლესიებისა და ტაძრების მშენებლობა ღვთისნიერი საქმეა და, ღვთის შეწევნით, სიამოვნებით ვაკურთხებთ მათ, მაგრამ კიდევ უფრო მადლიანი საქმე ძველი ეკლესიებისა და სალოცავების აღდგენა-გამაგრებაა. მათ საუკუნეები აახლოებს უფალთან და საუკუნეების განმავლობაში არიან მადლცხებულნი!

იმ წელს ქალაქ ჯვარს ეწვია უწმინდესი და ეს უდიდესი მოვლენა იყო წალენჯიხის რაიონის მოსახლეობისთვის. სულ მალე კი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა აკურთხა მეუფე იოკიმემ.

ვინც თვალყურს ადევნებს უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებებსა და ეპისტოლეებს, ალბათ, შეამჩნევდა, რომ ძველი ეკლესიების განახლების საკითხი მუდამ განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სამწუხაროდ, არც ისე ბევრი მსმენია, ვინმეს ძველი ეკლესია-მონასტრები აღედგინოს. ახალი კი, ღვთის მადლით, საკმაოდაა და არ შეიძლება ჭეშმარიტ მართლმადიდებელს ეს არ უხაროდეს, მაგრამ... **ვწუხვარ, რომ ამისი თქმა მიწევს: – ზოგგან ეკლესიათა აშენება „ბიზნესი“ გამხდარა! ვინ იცის, სად და რა გზით მოპოვებულ თანხებს „აბანდებენ“ ამ საქმეში მავანნი. ამას თავი დავანებოთ, „სალოცავთა შინა“ არის უკადრის საქციელთა კორიანტელი, მღვდელმსახურთა შეურაცხყოფა და გაწევ-გამოწევა! მაგალითები? მაგალითები, სამწუხაროდ, საკმაოდაა და ამის შესახებ ყველამ იცის! (ყოველ შემთხვევაში, თბილისის ვაზისუბნის იმ ეკლესიის მრევლმა, მაინც რომლის ხშირი სტუმარი მეც ვარ!**

მთავარია, რომ მაგალითები საკმაოდ ბლომად არის, გულდასაწყვეტი მაგალითები!

გარდა ზემოთ თქმულისა, გავბედავ და კიდევ ერთ სატკივარსაც გავამხელ:

...აქა-იქ შემიმჩნევია, მარხვის დღეებში, ზომაზე მეტად „ნაბახუსევი“ მღვდელი (!!ძ

...ერისკაცობაში საეჭვო რეპუტაციის მქონე პირების სასულიერო სამსახურში ჩადგომა ხომ, ნამდვილი მართლმადიდებელი მორწმუნისთვის აბსოლუტურად მიუღებელია!

ზოგიერთები ამბობენ, – ეკლესიაში იმიტომ მივიდნენ, რომ ჩადენილ ცოდვებს ინანიებენო! მონანიება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ვისაც საკუთარი ცოდვების მონანიება სურს, მან დღენიადაგ ლოცვითა და თვითგვემით უნდა გააკეთოს ეს და არა პირდაპირ მოძღვრის „მანტიით“!

მომიტევე უფალო, რომ გავკადნიერდი და ასე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი ეს გულისტკივილი.

**ზაურ ფიფია**

◎ უმუშევრობა

# ვიდრე ნდობის ლიმიტი ამოიწურება

## დასაქმების ახალი პროგრამა მალე ამოქმედდება

***„მილიონი სამუშაო ადგილი“ – ეს ცნობილი ლოზუნგი წინა ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი წარუმატებელი პროექტი აღმოჩნდა, თუმცა, თავისი შინაარსით ერთგვარი სატყუარა კი იყო ზოგიერთი ამომრჩევლისთვის. როგორც ახლა ირკვევა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინ არცთუ დაუსაქმებელი ყოფილა. დასაქმების ტრადიციულ ადგილად, მართალია, ძირითადად ბაზრობა, ბაზარი და გარე ვაჭრობა მოიაზრებოდა, მაგრამ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, უმეტესობას არსებობის თუნდაც მცირე საშუალება, მაინც ჰქონდა. დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი მაშინდელმა ხელისუფლებამ, როგორც ბევრი სხვა დაპირებაც, ქარს გაატანა.***

***ახალი ხელისუფლებაც ახალ-ახალი დაპირებებით მოვიდა, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, უმუშევართა რიგები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ამას დაემატა გარევაჭრობიდან გამოთავისუფლებული ადამიანებიც.***

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, 2006 წლის პირველ ნახევარში საქართველოში უმუშევრობის დონემ 13,8 პროცენტი შეადგინა, უმუშევართა რაოდენობამ კი ამავე პერიოდში 16,1 ათასი კაცით დაიკლო.

ინფორმაცია თავისთავად ეჭვს იწვევს, რადგან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უსამსახუროდ დარჩენილთა რიგები თვალში საცემად იზრდება, ვინაიდან თითქმის ყველა საჯარო სამსახურში, კვლევით ინსტიტუტში თუ სხვაგან შტატების შემცირებაა, ამასთან კურსი ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლებაზეა აღებული. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გარევაჭრობასა და ე.წ. უკანონოდ აშენებულ მაღაზიებსა თუ ჯიხურებში მომუშავე პერსონალი, რომელიც ვაჭრობით არჩენდა ოჯახს, შენობათა დემონტაჟის შემდეგ, ძირითადად, უმუშევარი დარჩა.

დიდმა ქარხნებმა და საწარმოებმა, სადაც ათასობით კაცი მუშაობდა, დიდი ხანია „ჩაილურის წყალი დალია“, წარსულს ჩაბარდა. გასაგებია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანი თავად არის საკუთარი თავის პატრონი, სახელმწიფო მის დასაქმებაზე ვერ იზრუნებს, მაგრამ მაინც საკითხავია, რა უნდა ქნას ჩვეულებრივმა რიგითმა ადამიანმა, რომელმაც 15-16 წელი ისწავლა და უმუშევარი შინ ზის, და ეს მაშინ, როცა უმუშევრობასთან ბრძოლის რაიმე კონკრეტული გეგმა ან მოდელი სახელმწიფო სტრუქტურებს არ გააჩნიათ?



ხელისუფლება, ალბათ, სერიოზულად დაფიქრდა უმუშევრობის დონეზე, სწორედ ამის გამოძახილი იყო ის, რომ შარშან, წლის მეორე ნახევარში დასაქმებისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. დასაწყისშივე ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ასე განაცხადა – წლეულს თუ 50 ათასი უმუშევარი კერძო კომპანიებში სამთვიან სტაჟირებას გაივლის, გაისად ეს რიცხვი 100 ათასამდე გაიზრდებაო.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, დასაქმების 2007 წლის პროგრამაში რამდენი კაცი მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ პროგრამა აუცილებლად დაიწყება, მისმა დაწყებამ მარტს არ უნდა გადააცილოს. შარშან ამ მიზნით ბიუჯეტში 26 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, სტაჟიორთა პრაქტიკა სამ თვეს გრძელდებოდა, რომლებიც თვეში 150 ლარს იღებდნენ

50 ათასი თუ არა, 10 ათასიც რომ დასაქმდეს, ცუდი ნამდვილად არ არის, პირიქით, ამ გაჭირვების დროს არც 450 ლარია უმნიშვნელო თანხა. სწორედ ამ ნიუანსების გათვალისწინებით მიაწყდნენ უმუშევარი ადამიანები შენობას, სადაც შარშან ეს პროგრამა ხორციელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრიობას თავშივე არაერთგვაროვანი აზრი ჰქონდა ამ პროგრამაზე.

2006 წლის პროგრამას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კურირებდა, წლეულს იგი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაექვემდებარება. ამჯერად პროგრამა სამინისტროს აპარატში განიხილება, ამიტომ ბევრი რამ ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. მაგრამ როგორც სამინისტროში აცხადებენ, გაზაფხულზე, კერძოდ მარტში იგი აუცილებლად დაიწყება. ვინც შარშან ანალოგიურ პროექტში მონაწილეობდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა: სადაც გაგვაგზავნეს, ადგილზე რომ მივედით, უარი გვითხრესო, ბევრი კი, ვინც სამუშაო მუდმივად თუ არა, დროებით მაინც მიიღო, რა თქმა უნდა, კმაყოფილია.

28 წლის **ზურაბ მ-მ** სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, შარშანდელ პროექტში ორჯერ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა, ნებისმიერ სამუშაოზე იყო თანახმა. იმედი აქვს, რომ წლეულს მაინც გაუმართლებს და სამუშაოს აუცილებლად მიიღებს.

პროგრამაში მონაწილე 38 წლის პედაგოგმა **მანანა გ.ას,** სამუშაო კი მიიღო, მაგრამ ანაზღაურება იმდენად მწირი იყო, თანაც გზაში იმდენი ეხარჯებოდა, იძულებული გახდა მიეტოვებინა – წლეულს თუ კვლავ ამოქმედდება ახალი პროგრამა, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებო, – ამბობს იგი.

– სახელმწიფო პროგრამა რომ ამოქმედდა, იმედი მომეცა, – მითხრა ახალგორიდან თბილისში გადმოსულმა ქალბატონმა **მარინა ც-მ**, რადგან ფასიანი დასაქმების ბიუროს ხალხი აღარ ენდობა, იქ მხოლოდ ფულის გამოძალვაზე მუშაობენ, შენი ბედი კი არავის აინტერესებს. ეს სახელმწიფო პროგრამაა, ამიტომ მას უპირობოდ ვენდობი, ყოველ შემთხვევაში სტაჟირებას აუცილებლად გავივლი, ვნახოთ, რა გამოვა. ისე, ჩემი თაობა, როგორც ამბობენ, დაკარგული თაობაა. ჩვენ ბევრი ვერაფერი შევძელით, რაც მთავარია ჩვენი შესაძლებლობების სრული რეალიზება ვერ მოვახდინეთ, ეს კი ნამდვილად გულდასაწყვეტია.

– ჩვენ მხოლოდ მოლარის, დამლაგებლის, სტილისტის ვაკანსიას შემოგვთავაზებენ, „პატრონიანებს“ კი საუკეთესო ადგილებს შეურჩევენ, – ამბობს 26 წლის **თაკო გ.**

– დასაქმების პროგრამაში შარშან დიდი ენთუზიაზმით მივიღე მონაწილეობა, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიე, მუდმივი ადგილი არ იყო, თუმცა პრაქტიკა გავიარე და, შესაბამისად, ყოველთვიურად 150 ლარს ვიღებდი. ჩემი ოჯახისთვის 450 ლარი არც ძალიან ბევრია და არც ძალიან ცოტა. ორი ბიჭის მამა ვარ. სამუშაო რომ მქონდეს, არც მესამე და არც მეოთხე შვილზე ვიტყოდი უარს. ძალიან გავიხარე, როცა გავიგე წლეულსაც იქნებაო ანალოგიური პროგრამა – მითხრა თბილისელმა 27 წლის **გიორგი ერაძემ.**

ბოლოს მთხოვა: – ერთი თხოვნა შემიძლია ჩაგაწერინოთ? კარგი, იქნება პრაქტიკა 6 თვე რომ იყოს. ექვსი თვე საკმაო დროა ჩვენი შესაძლებლობის გამოსავლენად. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთი ახალგაზრდა თვეში ერთხელ თუ დადიოდა პრაქტიკაზე, ხელს კი აწერდა, რათა 150 ლარი მიეღო. ეს საწარმოთა ხელმძღვანელებსაც აძლევდათ ხელს, თითქოს პრაქტიკაზე გაატარეს სამუშაოს მაძიებელი, წლეულსაც თუ ასე იქნება, რეალურად ხალხის დასაქმებას არაფერი ეშველება და სახელმწიფოს ყოველგვარი ცდა მხოლოდ ბლეფი და ხალხის მოტყუება იქნება.

**ნაზი იმნაიშვილი**

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

# პიროვნება •

ვინც წარსულს ივიწყებს, მას მომავალი არ უწერია. კიდევ კარგი, რომ ეს არ ითქმის ხალხზე. დიდი ხანია ფსოუდან მოყოლებული მიშა ცისკარიშვილის მშობლიურ თუშეთამდე, ამ თემაზე მიდის საუბარი. ლაპარაკობენ ენგურს გაღმა აფხაზები, გამოღმა — მეგრელები, სვანები, იმერლები... ბოლო-ბოლო მთელი საქართველო!



## ◎ ინფორმაცია

### ლეიბორისტებმა ნაგვის ურნებს პრეზიდენტისა და ქალაქის მერის სახელები მიანიჭეს

**„ლეიბორისტულმა პარტიამ“ თბილისში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე განთავსებულ ნაგვის ურნებს მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავას სახელწოდებები მიანიჭა და ურნებზე მათი ფოტოები გააკრა.**

**პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოს 22 იანვრის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის მიხედვითაც თბილისში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანისთვის ყოველთვიურად ერთი ლარისა და ოცი თეთრის გადახდა მოუწევს.**

**მისი განცხადებით, ნაგვის გატანის ტარიფები კინოთეატრების, თეატრების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, განათლების, სააავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და საზკვების სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებისთვის 300 პროცენტით არის გაძვირებული.**

**„თბილისის მოსახლეობის მიერ ნაგვის გატანისთვის გადახდილი გადასახადი წელიწადში ბიუჯეტს 400 მილიონ ლარს მოუტანს. ამასთან ერთად, ქალაქის ბიუჯეტში 25 მილიონი ლარია დამატებით გათვალისწინებული. წესით, ამ თანხებით თბილისი ევროპის წამყვან ქალაქებზე უფრო მეტად უნდა „ბრწყინავდეს“, მაგრამ რეალობა სხვა არის. ნაგვის გატანის საფასურით ბევრი ჯიბეებს ისქელებს“, — აღნიშნა შატბერაშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ გამოხმაურება

***ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ დაგვდოთ პატივი და საშუალება მოგვცეთ გამოვეხმაუროთ, მხარი დავუჭიროთ თქვენი გაზეთის 2006 წლის 11 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილს „პატივი და დიდება აღმაშენებელს“. ავტორები სავსებით სწორად აყენებენ საკითხს ენგურჰესის მშენებლობის უფროსის მიხეილ (მიშაძ ცისკარიშვილის ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის სახელის უკვდავყოფის აუცილებლობაზე.***

# კაცი კი არა, განძი იყო ერისა!

ცხადია, საკითხის დასმა არამც თუ დროულია, არამედ დაგვიანებულიც. მაგრამ დრო გადის. დღემდე მხარდაჭერის ხმა-კრინტი ჯერაც არსაიდან ისმის! და ეს არ არის კარგის მაუწყებელი... მაკვირვებს თვით ტექნიკური ინტელიგენციის დუმილი. ნუთუ ამ ბოლო ხანებში მართლა ასე დავშორდით ერთმანეთს?... არადა, ვინც წარსულს ივიწყებს, მას მომავალი არ უწერია. კიდევ კარგი, რომ ეს არ ითქმის ხალხზე. დიდი ხანია ფსოუდან მოყოლებული მიშა ცისკარიშვილის მშობლიურ თუშეთამდე, ამ თემაზე მიდის საუბარი. ლაპარაკობენ ენგურს გაღმა აფხაზები, გამოღმა — მეგრელები, სვანები, იმერლები... ბოლო-ბოლო მთელი საქართველო! ისე, როგორც ყოველთვის, დღესაც ხალხს ძალიან ცოტა ყოფნის სამახსოვროდაც და წყენა-მადლისთვისაც.

დღევანდელმა ახალგაზრდობამ ან ძალიან ცოტა იცის ბატონ მიშა ცისკარიშვილის დამსახურებაზე, ან საერთოდ მასზე წარმოდგენაც არა აქვს. ამიტომ, ჩვენ უფროსი თაობისანი, მოვალენი ვართ არა ნიშნის მოგებით, არამედ თავაზიანად, მამაშვილურად შევახსენოთ მათ მსგავსი ამბები.

მაინც, ვინ იყო მიშა ცისკარიშვილი?

ჩვენ, ვისაც სხვადასხვა რაიონში გვიწევდა მუშაობა და ხშირი საქმიანი ურთიერთობა გვქონდა მასთან, მის ადგილას სხვა პიროვნება ენგურჰესის მშენებლობის უფროსად ვერ წარმოგვედგინა. საბედნიეროდ, ამ აზრზე ვრჩებით დღესაც. იმ დროს ენგურჰესის მშენებლობის დასათვალიერებლად ჩამოდიოდნენ მაშინდელი სსრ კავშირის ხელმძღვანელები. მათ შორის იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურიც. ჩვენ სიამაყით ვიგონებთ ბატონი მიშას გამოსვლებს ამ ფრიად საპასუხისმგებლო აუდიტორიის წინაშე. იგი ყოველთვის ცოდნით, არგუმენტაციით, ლაპარაკის ტემბრით და მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით ანცვიფრებდა სტუმარ-მასპინძელს. საოცარი ის იყო, რომ იგი საუბრობდა ყოველთვის თითქოს თავის აუდიტორიის დონეზე. ვერ ვიხსენებთ ერთ მომენტსაც, თვით უმაღლესი დონის სტუმრის რთული კონტრშეკითხვების პასუხის დროსაც კი, ოდნავ შეტყობოდა შინაგანი ღელვა ან დაბნეულობა... კაცი თავისი მეობით პირდაპირი მნიშვნელობით მშვენება და განძი იყო ქართველი ერისა.

ცხადია, სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში ყოველთვის იყო სიძნელეები. მართვა სხვა არაფერია, თუ არა სიძნელეებთან ჭიდილი. მისი დაძლევა, სწორად გადაწყვეტა, საქმის ბოლომდე მიყვანა. ასეთ დროს დახმარებაც არის საჭირო. და ჩვენი გაჭირვების ტალკვესი მუდამ სწორედ მიშა იყო. ეს იყო ნაღდი და უტყუარი კაცი. ჯერ ერთი, შეხედვით იყო — ათლეტი. რაც სიმაღლე ჰქონდა, იმისი ნამრავლი — ღირსება და კაცობა. მინდობილი საქმის თავდავიწყებამდე (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობითძ ერთგულებასთან ერთად, იყო თავისი ქვეყნის უსაზღვრო პატრიოტი. მართალია, მაშინ ენგურჰესს აშენებდა მთელი ქვეყანა. მშენებლობის მიმდებარე რაიონებს კი მასთან გვქონდა ნამდვილი სამეურნეო ინტეგრაცია. ჩვენც ვეხმარებოდით მუშახელით, ტექნიკით, ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სხვა. სამაგიეროდ, შესაძლებლის ფარგლებში და აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენც არ გვაკლებდნენ ყურადღებას.

ამის დასტურად საკმარისია წალენჯიხის რაიონი. 1978 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ერთ-ერთ სოფელში ორსართულიანი სკოლა დაიწვა. მთელი სოფელი ტიროდა. ფულადი სახსრები ოპერატიულად გამოინახა. ენგურჰესის ხელის გამართვით სამ თვეში — 1 სექტემბერს ბავშვები ახალ ადგილზე, უფრო უკეთეს ორსართულიან ქათქათა სკოლაში შევიდნენ. 1973-1980 წლებში წალენჯიხის რაიონში აშენდა 17 ახალი სკოლა (მათ შორის მიშენება, რეკონსტრუქციის ჩათვლით), დაიწყო კიდევ 5-ის მშენებლობა. ყველა სოფელი რაიონის ცენტრს დაუკავშირდა ასფალტირებული გზით. ენგურის გაღმა სოფლების მიგრაციის შესაჩერებლად გაკეთდა რესპუბლიკური მნიშვნელობის 45-კილომეტრიანი ასფალტირებული გზა — ჯვარიდან ჭუბურხინჯამდე. ამით თვით მესტიის რაიონი მოკლე გზით დაუკავშირდა აფხაზეთს. ამ გზას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა... ეს გზა იყო პირდაპირი მნიშვნელობით მიშას საჩუქარი ენგურის გაღმა სოფლის მცხოვრებთათვის.

ამ დიდი კაცის უშუალო მონაწილეობით რამდენი რამ გაკეთდა ზუგდიდში! კერძოდ, მთის სასმელი წყალი — ქალაქ ზუგდიდს, წყალსადენი — რაიონის დაბალი ზონის სოფლებს (ანაკლიის ჩათვლითძ. ასევე ბევრი საქმე გაკეთდა გალში და სხვაგან. განსაკუთრებით კი აფხაზეთში, ბევრი რამ თბილისშიც... ამასთან, მიშა არ ყოფილა ე.წ. სახელმწიფო სახსრების უყაირათოდ მფანტველი. პირიქით, მას შეეძლო თავისი მტკიცე ხასიათის მიხედვით უარი ეთქვა ნებისმიერი უმაღლესი რანგის პირისათვის და ეს უარი იყო შეუქცევადი.

ბატონი მიშა ოთხ ათეულ წელს მიღწეული არც იყო, როცა ენგურჰესის მშენებლობას ჩაუდგა სათავეში. დაუდეგარი ენგური სწორედ იმ ადგილზე ჩაკეტა, სადაც ყველაზე მეტად მძლავრობდა იგი. იქვე ააგო მთელს ევროპაში უმაღლესი თაღოვანი კაშხალი. თითქმის სამასი მეტრის სიმაღლიდან მთაში 16-კილომეტრიანი გვირაბი გაჭრა და სოფელ საბერიოსთან (აფხაზეთიძ მდინარის ეს უზარმაზარი ძალა მიწისქვეშა ელექტროსადგურის ტურბინებზე მიუშვა! საქართველოს ელექტროქსელში ენგურჰესის ჩართვა უდიდესი ზეიმი იყო. ამ მოვლენით აღფრთოვანებულმა აფხაზეთის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ბორის ადლეიბამ ბატონ მიშას მიმართა, ენგურჰესს თქვენი სახელი უნდა ერქვასო! მას მხარი დაუჭირა ვალერიან კოზახიამ... მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ წინ იყო ხუდონჰესი. ეჰ, რა უბედურებაა მისი მშენებლობის შეჩერება!..

ათი წელი გადის ამ დიდი მშენებლის გარდაცვალებიდან. ალბათ, ბედის ამბავია, რომ მას არ ჰყოლია არც მეუღლე, არც შვილი, არც და, არც ძმა... არ დარჩენია არავითარი ქონებრივი მემკვიდრეობა. მხოლოდ ფუტკარივით მუდამ თავს ეხვია უმაღლესი კვალიფიკაციის მშენებელთა არმია, სახელგანთქმული ინჟინრები, სპეციალისტები. ზომიერად ჰყავდა მეგობრები, საქმით დაკავშირებული ამხანაგები. ასევე არ აკლდა თაყვანისმცემლებიც...

ეს იყო და ეს. და დღეს მისი აშენებულის, გაკეთებულის, სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურების გარდა, მას ამ ქვეყნად დარჩა მხოლოდ ღირსეული მამულიშვილის მარად დაუჩრდილავი დიდი სინათლე და უსახელო ძეგლი ენგურჰესი.

ამიტომ ჩვენ ენგურის გაღმა და გამოღმა უფროსი თაობის ათასობით ადამიანის სახელით საქართველოს მთავრობას ვთხოვთ მიანიჭოს მიხეილ ცისკარიშვილის სახელი ენგურჰესს. ჩვენ გვჯერა, რომ ამ სამართლიან გადაწყვეტილებას ერთნაირი კმაყოფილებით შეხვდებიან ქართველებთან ერთად აფხაზებიც, ოსებიც, ასევე ყველა სხვა ერის წარმომადგენლები.

**გივი ანჩაბაძე,**
**ივლიანე თოდუა,**
**გრამიტონ კვარაცხელია,**
**ლორიკ მარშანია,**
**გიორგი ნაჭყებია,**
**ფელიქს სანაკოევი.**

## ◎ სახელოვანი თანამედროვენი

# საბჭოურ მინისტრებს მკურნალობაც ემარჯვებოდათ...

***განვაგრძობთ პატარ-პატარა ამბების გამოქვეყნებას ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას 85 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნიდან „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები“.***

### ხახვის ფურცელი და შაქრის ფხვნილი

**შემსრულებლობითა და საქმის ერთგულებით ახალგაზრდა ინჟინერმა ცოტნე მირცხულავამ ადრე მიიქცია „საქნავთობის“ ხელმძღვანელობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკავშირო მასშტაბის დიდი თანამდებობის პირთა ყურადღება.**

წლიური ანგარიშების შედგენისა და ჩაბარებისათვის მოსკოვში მივლინების დროს ის დაიბარა სსრ კავშირის ნავთობის მინისტრმა ნიკოლოზ ბაიბაკოვმა, რომელიც უმაღლესი რანგის სპეციალისტად ითვლებოდა.

საღამოს 9 საათზე დაბარებული ც. მირცხულავას მიღება დარგის ხელმძღვანელმა მხოლოდ ღამის 2 საათზე შესძლო (ასეთი სამუშაო რეჟიმი უცხო როდი იყო იმდროინდელი საბჭოთა თანამდებობის პირთათვისძ. მასპინძელმა შენიშნა, რომ სტუმარს დაშავებული ჰქონდა ცერა თითი (საწერელი რომ ჰქვიაძ და მიზეზი ჰკითხა. პასუხი რომ მოისმინა, მდივანს მოუხმო და ხახვის ფურცლისა და შაქრის ფხვნილის მოტანა სთხოვა — სცოდნია ამ დაავადების მკურნალობა. მინისტრმა თვითონ შეუხვია თითი ახალგაზრდა სპეციალისტს და შემდეგ გადავიდა იმ საკითხზე, რისთვისაც დაბარებული ჰყავდა...

### ორი მწერლის კამპანიაში

**თბილისში ჟანგბადის ქარხნის გაშვებას ცოტნე მირცხულავამ დიდძალი შრომა და არაერთი უძილო ღამე მოახმარა. ეს იყო 1950-იან წლებში. „საქნავთობის“ იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ ბატონ ცოტნეს დამსახურებული დასვენების შესაძლებლობა მისცა კისლოვოდსკის საგზურით.**

იქ იმ დროს ისვენებდნენ ცნობილი მწერლები სერგეი მიხალკოვი და კონსტანტინე სიმონოვი (90-ს გადაცილებული ს. მიხალკოვი, „შეთავსებით“ ორი გამოჩენილი კინორეჟისორის, ნიკიტა მიხალკოვისა და ანდრეი კონჩალოვსკის მამა, დღესაც ცოცხალიაძ. ქართველი სწავლული ორივეს გაეცნო, ხშირად ხვდებოდა და ესაუბრებოდა გაზეთების ჯიხურთან. კ. სიმონოვს უთქვამს: პრესას ყოველდღიურად უნდა გავეცნო, საქმის კურსში უნდა ვიყო, თუ ვინ და როგორ მაკრიტიკებს როგორც მწერალსა და პუბლიცისტს, რათა დროულად გავცე ჯეროვანი პასუხიო...

### საკანდიდატოს დაცვაზე

**ერთხანს ცოტნე მირცხულავას დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებში „საქნავთობის“ მმართველის მოადგილის საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა და პარალელურად ლექციებსაც კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ასეთი დაკავებულობის მიუხედავად, საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა და საჯარო დაცვაზეც გაიტანა (1953წ.ძ.**

ნაშრომს სამეცნიერო საბჭოს წევრთა ერთსულოვანი მოწონება და მეტიც — აღტაცება ხვდა. მასში მათემატიკური აპარატი ისეთი მოცულობითა და დონით იყო გამოყენებული, რომ წინადადებაც გაჩნდა — დისერტანტს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მივანიჭოთო. მაშინ წამომდგარა საბჭოს ერთ-ერთი ავტორიტეტული წევრი, პროფესორი ამბროსი რუხაძე და უთქვამს: რას ვერჩით ამ ახალგაზრდა და წარმატებულ მკვლევარს, სწორად განვსაჯოთ, ჩვენ ხომ არა გვაქვს ამგვარი წოდების მინიჭების უფლებაო. კამათი უმალვე შემწყდარა. მაძიებელს ერთხმად მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება სამშენებლო მექანიკის სპეციალობით...

**თამაზ ებანოიძე**

**გულანთებული ახალგაზრდობა გაემართა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად, თავისუფლე-ბისა და დამოუკიდებლობის გადასარჩენად**



## ეს ჩვენი ისტორიაა

# თავისუფლების რაინდი

13 თებერვალს მტერი წითელ ხიდთან შემოიჭრა, გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია თელავისა და სიღნაღის მაზრებში, მაგრამ მობილიზაცია ვერ განხორციელდა, რადგან ბოლშევიკებმა მდგომარეობით ისარგებლეს და იერიში მიიტანეს მთელ ფრონტზე.

საქართველოს არმიის უფროსებმა ამ ფრონტს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, რითაც მტერს საშუალება მიეცა გაენადგურებინა იქ დაბანაკებული ქართული ჯარის პატარა მზვერავი რაზმები, მერე ხელში ჩაიგდეს მთელი კახეთი და მოაღწიეს თბილისის მიდამოებამდე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. მეექვსე ქვეითი ლეგიონი იძულებული გახდა დაეხია თიანეთისაკენ და მერე მტერს ჩაუვარდა ხელში.

14 თებერვალს მთავრობის დადგენილებით მთავარსარდალი ოდიშელიძე თანამდებობიდან გადააყენეს, მის ნაცვლად დანიშნეს გენერალი კვინიტაძე. ეს გენერალმა მაზნიაშვილმა გამოუსწორებელ შეცდომად მიიჩნია, რადგანაც მისი აზრით, ოდიშელიძეს დიდი მხედრული და ადმინისტრაციული სტაჟი ჰქონდა.

ახალი მთავარსარდლის დანიშვნის მეორე დღესვე საქართველოში გამოცხადდა საერთო მობილიზაცია და, რადგანაც გამოირკვა, რომ ქართული გვარდიის ნაწილები წითელ ხიდთან მტერს ვერ გაუმკლავდნენ, ისინი წითელი ხიდიდან მოხსნეს, უკან დასწიეს ყველა სამხედრო ნაწილი, რათა ისინი თბილისის დაცვას შესდგომოდნენ.

15 თებერვალს მთავარსარდალმა გიორგი მაზნიაშვილი მებრძოლი რაიონის უფროსად დანიშნა ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე.

იმ ხანებში გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებაში იყო სადარაჯო ლეგიონის 2 ასეული (ორი ასეული წინა დღით გაიგზავნა ფრონტზეძ, ერთი ქვეითი ლეგიონი და სახალხო გვერდიის თბილისელთა ათეული. მეცხრე და პირველ ქვეითთა ლეგიონებს წინ წაწევა ებრძანათ, სადგურ სანდარის იქითა ფრონტიდან დახეული ნაწილების დასახმარებლად, მაგრამ უკან დახევა ისეთი სწრაფი იყო, რომ 15 თებერვალს საღამოს გასულმა ჯარებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და უკან დაბრუნდნენ.

15 თებერვალს მთავარსარდლობამ გიორგი მაზნიაშვილი ორი ასეულით, ტყვიამფრქვევების გარეშე რომ იყო დაბანაკებული სოღანლუღთან, გაგზავნა თბილისის მიდამოების დასაცავად ტაბახმელა-ორხევის ხაზზე და დაპირდა, რომ გაუგზავნიდა ყველა იმ ნაწილს, რომლებიც იმ დღეებში უნდა მისულიყვნენ თბილისში დასავლეთიდან.

16 თებერვალს გამთენიისას ქართველების მოწინავე რაზმებიც მოვიდნენ თბილისში.

ხაშურიდან და გორიდან ჩავიდა ორი ათასეული. 16 თებერვალს დილით გ.მაზნიაშვილის განკარგულებაში იყო მეცხრე ქვეითი ლეგიონი, სადარაჯო ლეგიონი, სახალხო გვარდიის 2 ათასეული და 5 ბატარეა, ჯავშნიანი საავტომობილო გუნდით და ჯავშნიანი მატარებელი.

გიორგი მაზნიაშვილმა ეს ჯარები ასე დაანაწილა:

მეცხრე ქვეითთა ლეგიონმა ერთი ბატარეით დაიჭირა თხრილები ტაბახმელიდან შავნაბადამდე.

სადარაჯო ლეგიონმა დაიჭირა ლიუნეტი (ადგილი, რომელსაც ირგვლივ აქვს შემოვლებული თხრილებიძ სოღანლუღის კონცხზე რკინიგზის ხიდის სიახლოვეს.

გორის სახალხო გვარდიის ათასეულმა დაიჭირა ლიუნეტი რკინიგზის იქით, გზატკეცილის მარცხენა მხარეზე, მტკვრის ნაპირას და ერთი ასეული ჩააყენა თათრების სოღანლუღის ბაღში, ხაშურის სახალხო გვარდიის ერთი ათასეული, რომელსაც ჰყავდა 1300 კაცი და რვა ტყვიამფრქვევი, დაბანაკდა რედუტში, წმინდა მარინეს დანგრეულ ეკლესიასთან სადგურ სოღანლუღის იქით, მარჯვენა მხარეს.

სამი ბატარეა მოეწყო წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან.

ჯავშნიანი მატარებელი თვალს ადევნებდა მტრის მოძრაობას კუმისის სადგურთან და ბოლოს, ჯავშნიანმა საავტომობილო გუნდმა სადგურ სოღანლუღთან წინ წაიწია ოთხით ვერსით გზატკეცილზე.

17 თებერვალს გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებაში გაიგზავნა სანაპირო სადარაჯო ნაწილები 250 კაცის რაოდენობით, რომლებსაც გენერალმა უბრძანა დაეკავებინათ პოზიცია ბატარეიდან მარცხნივ გზატკეცილი სადგურ ორხევამდე. 17 თებერვალს საღამოთი მაზნიაშვილს კიდევ მოუვიდა სამეგრელოს გვარდიის ორი ათასეული და პირველი ქვეითი ლეგიონი, რომლებმაც შეადგინეს მისი რეზერვი.

რაკი გიორგი მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთა ტაბახმელიდან მოყოლებული კოჯრამდე და შემდეგ კიკეთამდე მოტიტვლებული იყო, მთავარსარდალმა 19 თებერვალს შეადგინა მარჯვენა მებრძოლი რაიონი ტაბახმელიდან კიკეთამდე და იგი დაუქვემდებარა გენერალ ანდრონიკაშვილს. ამ მიზნისთვის მაზნიაშვილს ჩამოერთვა რეზერვის ყველა ნაწილი. ასე რომ, 18 თებერვალს საღამოზე არც ერთი კაციც არა ჰყავდა რეზერვში.

თბილისში მყოფი არმიის შტაბი მებრძოლ რაიონებს მოწინააღმდეგის შესახებ არავითარ ცნობებს არ აწვდიდა, რადგან მას, არმიის შტაბს არა ჰქონდა საჭირო ცნობები ანდა გულგრილობას იჩენდა, თავს არ იტკივებდა გადაეცა ისინი პოზიციებზე.

24 თებერვალს ფრონტის მდგომარეობა ასეთი იყო: ქართველები სომხების თავდასხმას იგერიებდნენ, ამ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

მთელი საქართველო ფეხზე დადგა, მათ შორის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი.

ცნობილია, რომ საქართველოში წითელმა რუსეთმა ელჩად გამოგზავნა სერგეი კიროვი, მისი მეთაურობით წითელი რუსეთი ღრმად სწავლობდა ქართული ჯარის შემადგენლობას, შეიარაღებას, დისლოკაციას, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს და ცნობებს აწვდიდა სადაც „ჯერ არს".

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ასე მიმართა სტუდენტებს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. აი, მე თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ!".



**გიორგი მაზნიაშვილი მეუღლე სოფიოსთან ერთად**

გულანთებული ახალგაზრდობა გაემართა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გადასარჩენად. ფრონტზე კი გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იყო. იგი იბრძოდა ყველაზე უფრო ცხელ ხაზზე, თვითმხილველები გაკვირვებულნი იყვნენ მაზნიაშვილის მოქმედებით, სისწრაფით, სიმკვირცხლით, გონივრული მოქმედებით და შედეგებით:

„19 თებერვალს პირველმა ქართულმა პოლკმა პოლკოვნიკ გოგელაშვილის მეთაურობით და მესამე იმერეთის გვარდიამ ტრიფონ ლაბაძის მეთაურობით, მთავარი შტაბის თავმჯდომარის ვ.ჯუღელის, ალექსანდრე დგებუაძის და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით მტერი სასტიკად დავამარცხეთ. ტყვედ ჩავიგდეთ 1800 ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზანი, დიდძალი სხვა იარაღი და გაშიფრული საიდუმლო საბუთები"...

„23 თებერვალს მტრის ავიაციამ დაბომბა ჩვენი დიდი არსენალი და ვაზიანის ხეობა. შეიმჩნეოდა პანიკა მთავარსარდლობაში, გენერალი მაზნიაშვილი და გენერალი ანდრონიკაშვილი მაგრად იდგნენ":

„19-ს დაჭიმულ გრძნობას დაემატა გენ. ანდრონიკაშვილის ამაჟრჟოლებელი მოლოცვა: „ჩვენს მარცხნივ გენერალ მაზნიაშვილმა ღამის განმავლობაში მტრის ყველა იერიში მოიგერია. გათენებისას თვით გადავიდა იერიშზედ. ხელთ იგდო 1500 ტყვე. მტერი ზარალით იხევს. გილოცავთ გამარჯვებას". თუ საქართველომ იცოდა იმ დროს რა სული მეფობდა ტაბახმელაზედ ოფიცრებსა და იუნკრებში, დამშვიდებული უნდა ყოფილიყო თბილისის ბედზედ";

„დაღამებისთვის ბრძოლა მთელს მონაკვეთზე შეწყდა, მხოლოდ სოღანლუღის მონაკვეთზე, რომელსაც გენერალი გ. მაზნიაშვილი მეთაურობდა, მძიმე ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა, მარჯვენა ფრთაზე გვარდიის ათასეულები ვ.ჯუღელის მეთაურობით ძალიან კარგად იბრძოდა, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე ასეულს, რომლებმაც ფრონტი მიატოვეს და ფრონტის ხაზში ნაპრალი გამოიწვიეს. ამგვარად წითლების დიდი შეტევა ტაბახმელა-კოჯრის ხაზზე ყველგან მოგერიებული იქნა".

ფრონტის მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე წერს: „ჩემი თვალით რომ არ მენახა, თუ როგორ გმირულად და გააფთრებით იბრძოდა გიორგი მაზნიაშვილი, სხვის მონათხრობს ვერ დავიჯერებდი".

და კიდევ:

„გენერალი მაზნიაშვილი მამაცი პიროვნებაა. რამდენჯერ მინახავს ტყვიების წვიმაში და შეგიძლიათ მერწმუნოთ, გულოვნება არც მაშინ ღალატობს, როცა ვითარება უკიდურესობამდე სახიფათო შეიქმნება ხოლმე. ასეთი სიმამაცე მეტისმეტიც კია, თავი აქვს გადადებული და შესაძლოა არაერთხელ დაგვეკარგა ისეთი კაცი, ვისი დაკარგვაც ლახვარს ჩაგვცემდა".

. . .

მაგრამ მივხედოთ ისევ გიორგი მაზნიაშვილს, თუ როგორ წარიმართა მისი ცხოვრება ბოზოქარი ხანის შემდეგ, მას სულ ბოროტება და შური სდევდა ბედიმდევარივით, სათანადოდ ვერ დაუფასეს ვერც სამშობლოს სიყვარული და მისი თავისუფლებისათვის თავგანწირვა და ვერც უანგარობა და პატიოსნება, რომელნიც ასხივოსნებდნენ მის სიცოცხლესა და ქმედებას. პირიქით.

1921 წლის თებერვალშიც ხომ ასე თავგანწირვითა და გმირულად იბრძოდა გიორგი მაზნიაშვილი, გამარჯვების შემდეგ ერთი დღითაც არ დაუსვენია, მას არ ასვენებდა თავისი მოწოდება, სამშობლო ჯერ ისევ განსაცდელში იყო, მთავრობები და პარტიები იცვლებოდნენ. ხალხის რწმენანი და შეხედულებანი ძირითადად უცვლელი იყო.

დამარცხდნენ მენშევიკები, მთავრობა საზღვარგარეთ წავიდა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც მშვიდობიანად გააცილა თვით გიორგი მაზნიაშვილმა, მას კი სამშობლოდან ფეხი არ მოუცვლია. საქართველოში მოვიდა ახალი, წითელი ხელისუფლება სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით. მყარდებოდა ახალი რეჟიმი, რუსეთის დამოკიდებულება და პოლიტიკა საქართველოს მიმართ უცვლელი რჩებოდა, თუნდაც თეთრები ყოფილიყვნენ, თუნდა წითლები, ორივეს მიზანი იყო საქართველოს დაპყრობა და ჩაყლაპვა.

**გიორგი ხორგუაშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 22-26.**

## ინფორმაცია

### რუსეთი „თბილისის დეკლარაციას" ეხმაურება

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირების მიერ ხელმოწერილ „თბილისის დეკლარაციას" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტი გამოეხმაურა.

„ყურადღებით მივადევნებთ თვალყურს რეგიონში ჩვენი პარტნიორების ინიციატივას. მისმა პრაქტიკულმა რეალიზებამ რეგიონში ხელი უნდა შეუწყოს ყველა ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებას", — აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს ნებისმიერი ფორმის ურთიერთხელსაყრელი და ტრანსფარენტული თანამშრომლობისთვის, რომელიც კავკასიაში სტაბილურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყობს ხელს.

### სადალსკი ჩვენი მოქალაქე გახდა

ცნობილი რუსი მსახიობი სტანისლავ სადალსკი ამაყობს, რომ საქართველოს მოქალაქეა.

ამის შესახებ რუსმა მსახიობმა გუშინ სასტუმრო „ამბასადორში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

სადალსკიმ ისაუბრა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე და აღნიშნა, რომ ვითარება საქართველოსა და რუსეთს შორის აუცილებლად მოწესრიგდება.

„მთავარი მოტივი, რის გამოც მე საქართველოს მოქალაქეობის მიღება გადავწყვიტე, ეს იყო ეთნიკური ქართველების ჩაგვრა და დევნა რუსეთიდან", — აღნიშნა მან.

რუსმა მსახიობმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გამო და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ მას სხვა რუსი მსახიობები მიბაძავენ.

### საქართველოს პოლ დაიკი და დენ სალივანი ეწვივნენ

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

თბილისს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში დენ სალივანი და სახელმწიფო დეპარტამენტის კომერციული დეპარტამენტის წარმომადგენელი პოლ დაიკი ეწვივნენ.

სტუმრებს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ არასამთავრობო და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის მიზანია საქართველოში ბიზნეს-გარემოსა და უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის შესწავლა, ასევე ქართულ-ამერიკული ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

**ინტერპრესნიუსი**

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

# ჩვენ

ცხადია, მრავალმიმართულებითი დენაციონალიზაციის გამო, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ქართველ ერს არ გააჩნია ერთიანი ეროვნული სვლაგეზი, ერთი ცნობიერი შინაარსი, გაერთსხეულებელი სულისკვეთება და საერთო აზროვნების წესი



**ინფორმაცია**

## საზოგადოება მოსამართლეებს შეარჩევს

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი საზოგადოებას მოუწოდებს, მოსამართლეების შერჩევის პროცესში მონაწილეობა მიიღონ.**

**კუბლაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია მოსამართლეობის კანდიდატთა 190-კაციანი სია. ნებისმიერ მსურველს ვებ-გვერდზე მათთვის ხმის მიცემა შეუძლია.**

**„გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ კანდიდატებიდან მოსამართლეების შერჩევაში. მთავარი მოსამართლეთა შერჩევისას მათი პიროვნული მახასიათებლები, მორალური თვისებები, პროფესიონალიზმი და რეპუტაციაა“ – აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.**

**როგორც კონსტანტინე კუბლაშვილი აცხადებს, მოსამართლეთა შერჩევა მარტის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.**

**ინტერპრესნიუსი**

**თემიდა**

# უფროსმა ჯარისკაცი თვითმკვლელობამდე მიიყვანა

**წალკის რაიონულმა სასამართლომ იქ დისლოცირებულ სპეცდანიშნულების რაზმის უფროსს თენგიზ კახაძეს თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტებისათვის სამსახურიდან დათხოვნა, 2-წლიანი პირობითი სასჯელი და 2 ათასი ლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა.**

5 ივნისს წალკაში დისლოცირებული შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი თენგიზ კახაძე სპეცრაზმის რიგითის, ერეკლე მალლაკელიძის ოჯახს დაუკავშირდა და ნაწილში ჩასვლა სთხოვა. ჩასულ მშობლებს კახაძემ განუცხადა, რომ მათმა ვაჟმა, რომელიც გაგზავნილი იყო სამხედრო დავალების შესასრულებლად, არ შეასრულა ის, შეუარა ადგილობრივ მაცხოვრებს, ეროვნებით მოლდაველ ელენე გუცუს და გააუპატიურა. კახაძის განმარტებით, ქალი ჩივილს აპირებდა. მისი გაჩუმებისათვის 3 ათასი დოლარი იყო საჭირო. კახაძე მალლაკელიძეებს საქმის გაუხმაურებლობის სრულ გარანტიას აძლევდა. იგი თანხის გადაცემაში შუამავლობაზეც თანახმა იყო.

ერეკლე მალლაკელიძე მშობლებს უმტკიცებდა, არანაირი დანაშაური არ ჩამიდენიაო. სამაგიეროდ, კახაძე აფრიალებდა ქალის საჩივარს, მისი დაკითხვისა და დაპირისპირების ოქმებს, მოწმეთა ჩვენებებს. მშობლების ჩამოსვლამდე უფროსმა რიგითს აუტანელი პირობები შეუქმნა. მას დასცინოდნენ ჯარისკაცები, მორალურ ზეწოლას ახდენდნენ ოფიცრები. მშობლები იძულებულები გახდნენ, თანხის შეგროვებამდე შვილი სახლში წაეყვანათ. შინ დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში რიგითმა თავი ჩამოიხრჩო.



მშობლებმა იჩივლეს. საქმე გახმაურდა. დაიწყო გამოძიება. როგორც დაზარალებული მხარე აცხადებს, გამოძიებაც, და შემდგომ სასამართლოც არაობიექტურად წარიმართა. არ დაკითხეს გარდაცვლილის თანარაზმელები, თუმცა ისინი მალლაკელიძეებთან შეხვედრების დროს ფარულად აცხადებდნენ, გაუპატიურებასთან დაკავშირებული ინციდენტი მოგონილიაო, კახაძემ ეს ფულის „შეწერვის მიზნით მოიგონაო“, მსგავსი ფაქტები ამ ნაწილში ადრეც მომხდარაო.

კახაძეს უმცირესი სასჯელი მიუსაჯეს. დღეს საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი პროკურატურის ნება-სურვილის აღმსრულებლად, მის დანამატად იქცა. კახაძის შემთხვევასთან დაკავშირებით გამოჩნდა, რომ სასამართლო არა მხოლოდ პროკურატურის ნება-სურვილის აღმსრულებელია.

პროცესის დროს სასამართლომ არ გაითვალისწინა დაზარალებულის ადვოკატების მოთხოვნა კახაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე გამოძალვის მცდელობის მოტივით. სპეცრაზმის უფროსს არავითარი უფლება არ ჰქონდა პირადად ეწარმოებინა გამოძიება, დაპირისპირებები და ა.შ. მომხდარის შესახებ მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა შსს-ს გენერალური ინსპექციისათვის. კახაძემ კი ფაქტი დამალა (თუ კი მოხდა საერთოდძ. ამ საკითხზე ყურადღება არც სახელმწიფო ბრალმდებელს, პროკურატურას გაუმახვილებია. უფრო მეტიც, პროკურორმა და მოსამართლემ პროცესი ისე წარმართეს, რომ მალლაკელიძეები საერთოდ არ სცნეს დაზარალებულ მხარედ. ამით ტანდემმა იმას მიაღწია, რომ ერეკლეს მშობლებს ჩამოართვეს განაჩენის შემდგომი გასაჩივრების უფლება.

როგორც ჩანს, ჩვენი „დამოუკიდებელი“ სასამართლო და მისი მოსამართლეები ზეწოლას შსს-ს მაღალჩინოსნებისგანაც განიცდიან.

**ზაზა ბილიხოძე**

**ყველას თავისი აზრი აქვს**

*„ძმამ ძმის ხორცი ლოღნა და ყიამ არ გადაიტანაო“...*

*„ზოგჯერ ბოლი ყველა ერდოდან ამოდის, მაგრამ ყველაში საჭმელს არ ხარშავენ...“*

*ქართული ხალხური სიბრძნე*

# დივერსიული ეთნო-

**ადამიანი პიროვნებაა მანამ, სანამ მას ეროვნული მეხსიერება, ანუ უფლით დადგენილი ვინაობა გააჩნია, ვიმეორებ, – უფლით დადგენილი, რამეთუ, ნებისმიერი დაპყრობითი თუ ბაცაცური შემოლოზვა, როგორც ღვთის უნებური, ადამიანში, შესაბამისად მთლიანად ერში, სულიერ გადაგვარებასა და ზნეობრივ გაუკულმართებას იწვევს. ეს ასე ხდება არა მხოლოდ ლაგამამოუდები მოხვეჭის ან საჩუმათო მითვისების დროს, არამედ, ქრისტესმხედრად თავის არ მოაზრების შემთხვევაშიც, როცა სიწმინდეს გიგინებენ, მამულს უზოდიშოდ გისხვისებენ, სულს გიღლაბუცებენ, ჭერქვეშეთში გარბევენ... და შენ „საპატიო მიზეზით“ არ მიელეწები მომხდურს!..**

ასეთი შინაარსისაა ღვთისმშობლის წილხვედრილობა საქართველოს სულიერ კამარასა თუ სივრცით განფენილობაში და აქედან აითვლება ეროვნულ ღირებულებათა განსაგნება ქრისტესმხედრულ ღირსებაში.

ცალსახად და ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ **საქართველოს დაპყრობა დღეს სწორედ ამ ფასეულობათა გაქვევებით დაიწყო. ქვეყანაში დივერსიულმა ეთნოფაბრიკაციებმა უფრო სრულყოფილი სახე მიიღო, ამჯერად საქართველოს დაქუცმაცება მარტო სამხარეო ავტონომიების შეკოწიწებითა და არაქართულ ქვეყნებად მათი გამოცხადებით არ ხდება.** ქართველი ერისგან გამოყოფის შთაგონებული და წახალისებული თავაწყვეტა არ ასვენებს არა მარტო ჩვენთან გზად გამოვლილ შარახვეტიებს. რაც ყველაზე საგანგაშოა, გაუცხოებისა და ხმაზაძვის მოგრიგალებას განივდის თვით ეთნიკური ქართველების ერთ ნაწილიცა და მათთან ერთად ქართულ გვარ-სახელს ამოფარებულთა სიმრავლე, რომლებიც, შეიარაღდნენ თითქმის ისეთივე ლოზუნგებით, როგორსაც თავის დროზე ორფეხა ლორეშელი სახედარი (და არა მხოლოდ ისძ აფრიალებდა, ე.წ. „უმცირესობათა გასათავისუფლებლად“ ათენებენ დროსა და სივრცეში არ არსებული ქართული დიდმპყრობელობისაგან.

ცხადია, მრავალმიმართულებითი დენაციონალიზაციის გამო, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ქართველ ერს არ გააჩნია ერთიანი ეროვნული სვლაგეზი, ერთი ცნობიერი შინაარსი, გაერთსხეულებელი სულისკვეთება და საერთო აზროვნების წესი. ქვეყანაში არ მუშაობს საყოველთაო ქუდზეკაცური წესრიგი. ამიტომ, ნებისმიერი ე.წ. უმცირესობა, იქნება ეს ეთნიკური, სარწმუნოებრივი, სქესობრივი თუ ვინ იცის კიდევ რა, თავისი საბოლოო მიზნით წარმოადგენს ერთგვარ საოკუპაციო საყრდენს: ქართულ სულში იზუსტებს იმ სივრცეთა მოსაზღვრულობას, რასაც ადრე ქართულ მიწაზე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრით აკანონებდა დედა საქართველოდან განკერძოებულობას, ანუ ისტორიულად ქართულ კუთხეებს „არაქართულ“ ქვეყნებად და სხვათა სამშობლოდ ადგედა. უფრო მეტიც, ქვეყანაში თავსმოხვეული ხმაზაძვისა და საკუთარი „არასრულფასოვნების“ კინაღამ სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადების გამო, ქართველი ერი საკუთარ სამშობლოში არაა უფლებამოსილი ე.წ. უმცირესობათა ამა თუ იმ ორგანიზაციების საქმიანობა, ქვეყნისმგრეველიც რომ იყოს, თუნდაც ზედაპირულად მოიითვალსაწიეროს. არადა, როგორც ჩანს, მათი სახით სახიფათოდ უცხო სულისკვეთების ხელშეწყობასთან გვაქვს საქმე.

რა ამის პასუხია და, ერთ უცნაურ, ჩემთვის აუხსნელ კანონზომიერებასა ვარ დაკვირვებული: ხომ ცნობილი იყვნენ ბოლშევიკები თავიანთი კოსმოპოლიტიზმითა და ეროვნულის მოძულეობით, არც ერთი ერის წარმომადგენელ ბოლშევიკს არ დაუმიზნებია ლოდსატყორცნი თავისი ეროვნული ცნობიერებისათვის, ნაჯახით არ მიმდგარა საკუთარი ერის ფესვებს. მაგალითად, აზერბაიჯანელებმა ფაქტობრივად მანამდე არ არსებული, არ გაგონილი სახელმწიფო შექმნეს, თანაც ქართული მხარეებიც შეიყოლეს შიგ, იგივე გააკეთეს არმენებმა. რაც შეეხებათ არმენ ბოლშევიკებს, ჯერ კიდევ სტეფანე შაუმიანმა აიჩემა, ამიერკავკასია სამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ნაწილად უნდა გაიყოსო: 1. არმენული სივრცის „ბუნებრივ“ გაგრძელებად ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის ოკრუგის გაერთიანება; 2. არმენებს უნდა მიერთებოდა მთელი ლიხს აქეთა საქართველო; 3. აზერბაიჯანი და დაღესტანი.

აი, არმენი ბოლშევიკის ძალისხმევა და მცდელობა, ამ დროს მისი ქართველი თანაპარტიელები მარჯვნივ და მარცხნივ ასხვისებდნენ მამულს.

დღეისათვის საქართველოში მოქმედ ახალი ტიპის ავტონომიურ რესპუბლიკებად, ანუ არაქართულ ცნობიერებად თავსმოხვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებში ქართველთმოძულება მიზანია. ეს ორგანიზაციები არსად ისე დაპირისპირებული არ არიან საკუთარ რჯულთან, ერთან, სახალხო წესჩვეულებებთან, ეროვნულ-სახალხო სიწმინდეებთან, როგორც საქართველოში.

აგრესიული გლობალიზმისათვის, საქართველო, როგორც ისტორიულად წარჩინებული ერი, ანუ თვითმყოფადი აზროვნების წესრიგი, ქაოსური დემოკრატიისთვის სრულ შეუსაბამობას, გნებავთ შეუთავსებლობას ქმნის. ამიტომ, ე.წ. ფაქტის ფილოსოფიის საფუძველზე საქართველოში იქმნება საოკუპაციო ეთნონედლეული – ე.წ. რეალური მოსახლეობა, შენიღბული სამოქალაქო საზოგადოებები და ა.შ. რომლებიც უპირისპირდებიან ეროვნულ ღირებულებებს და მათზე დაყრდნობით აგრესიულ გლობალიზმს ნებისმიერ დროს შუძლია საკუთარსავე მიწაზე საქართველო ჩაითრიოს უმართავ სისხლისღვრაში.

ეს, რაც შეეხება ქვეყნის ნგრევის შიდა ბერკეტებს, რომელთა ძალისხმევითა და დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით ჩვენს სამშობლოში მკვიდრი მოსახლეობა (ქვეყნის სახელწოდების მატარებელი ერიძ მიზნობრივად დგინდება უუფლებო და უვინაო სიმრავლედ.

ასე დაზუსტებულ შიდა ქართულ შინაარსთან ერთად თანამედროვე მსოფლიო წესრიგს საქართველოს გარშემო სჭირდება მისგან მართვადი „გარე ფაქტორიც“, ანუ, ამ შემთხვევაში სხვა ქვეყანათა ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ, რათა ქვეყანა მუდმივი წნეხისა და საკუთარი მამულის დაკარგვის საფრთხის ქვეშ იყოს.

აშშ ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში მხარს უჭერს იქ საგანგებოდ ფაბრიცირებულ იმ ნაციებს, რომლებსაც დროსა და სივრცეში არასდროს არ ჰქონიათ განფენილი საკუთარი ეროვნულ-სახალხო ვინაობა, თუმცა, რაკი ისინი რომელიღაც რეგიონში როგორც ეთნიური ფაქტი დადგინდნენ, ზესახელმწიფოთა მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნენ (და იყენებენ კიდეცძ ჭურვმზიდად ან ეთნონედლეულად ამა თუ იმ ქვეყნის გამცნობიერებელი მკვიდრი ხალხის წინააღმდეგ. მათ აქეზებენ და აჯილდოებენ ყველანაირი დემარშისთვის მანამ, სანამ ფიზიკურად არ განადგურდება მკვიდრი და წარჩინებული, თვითმყოფადი ერი. როგორც კი ეს მიიღწევა, წინარე ჭურვმზიდი და ეთნონედლეული, როგორც ყავლგასული საგანი, – გადამუშავებას (გადადნობასძ ექვემდებარება.

იმისათვის, რათა არ მოხდეს აგრესიული გლობალიზმისათვის არასასურველი პონტო-კავკასიური ცნობიერების აღორძინება, დღის წესრიგში დადგა დიდი საკავკასიო არეულობა (კავკასიის ბალკანიზაციაძ. ამისათვის ზესახელმწიფოებს სჭირდებათ საბაბი, რათა ჩაერიონ პონტო-კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობათა ფაბრიკაციული წესით წარმართვაშია. ყოველივე ამით მომავალი მსოფლიო გადანაწილების დროს, ისინი თავად გაიპიროვნებენ ახალი პოლიტიკური რუკის ავტორობას.

ცალკე უნდა ვახსენოთ ე.წ. არასამთავრობოების მოღვაწეობა საქართველოში, რომლებიც თავისი არსით აგრესიული გლობალიზმის დასაყრდენია ქვეყანაში და რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქართველი ერის თვალსაწიერში ახალი სახის სეპარატისტულ ცნობიერებათა განსაგნება, ეს არის აქცია ქართულ მამულში ჩანაღმული და ჩვენს ზურგზე გამოცდილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეზერვაციებისა, იგივე ავტონომიური ოლქების მსგავსი ნელმოქმედების ჭურვმზიდების არა მხოლოდ გეოგრაფიულ სივრცეში, არამედ თვით ერის ცნობიერებაში ჩასამონტაჟებლად.

აი, თუნდაც არმენთა ე.წ. სათვისტომო „Трабзон-Ардвин-Батум“ (სამივე ქალაქი ისტორიულად პირწმინდად ქართულია, მათგან ტრაბზონს ჯერ კიდევ სულნათელი სულხან-საბას დროს მეორენაირად „მეგრელთა სოფელსაც“ ეძახდნენ. ამათგან, ბათუმის გარდა დანარჩენი ორი თურქეთის რესპუბლიკაშია დღესძ. თავისთავად იბადება კითხვა სად ტრაბზონ-ბათუმი და სად არმენთა თვითგამორკვევა?!. ეს იმას ჰგავს, ქართულ მოძრაობას „ეჩმიაძინი“ რომ დავარქვათ.

მაგრამ საქმე, ამ ვითომ უწყინარი სათვისტომოს გათვლებით, ასე მარტივად არაა. ისინი ამტკიცებენ, თითქოს, არმენები პონტო-კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის ავტოხთონი ხალხი ყოფილან და ამდენად, აფხაზეთი, ვინაიდან ისიც პონტო-კავკასიის ნაწილია, მათი ისტორიული სამშობლოა. აი, მთელი ლოგიკა,

# ჩვენ

● ოქრომჭედლური სიზუსტით იციან, როგორ აკეთონ საქმე, ანუ კი არ წერონ, კერონ საკუთარი ისტორია





◉ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**იარაღი ზოგჯერ გამოხატავს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ვექტორს, ვინაიდან გასულ საუკუნეში ორი ზესახელმწიფო – აშშ და საბჭოთა კავშირი იარაღით უხვად ამარაგებდნენ თავიანთ მოკავშირე მესამე ქვეყნებს. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული, ყველაზე ხშირად ჩვენს პლანეტაზე მომხდარ ომებსა და მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში გამოიყენებოდა საბჭოთა AK-47 და ამერიკული M-16. ალბათ ხშირად გაგიგონიათ იარაღის მოყვარულთა კამათი, რომელი ზემოხსენებული იარაღი სჯობსო. მოდით მივყვეთ თანამიმდევრულად.**

# „კალაშა" M-16-ის წინააღმდეგ

***პატივცემულო რედაქცია, ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შეიარაღებაში გამოიყენება რუსული ავტომატი „კალაშნიკოვი" და ამერიკული M-16. გთხოვთ, გამარკვიოთ, რომელი მათგანი უმჯობესია საბრძოლო თვისებებით?***
***ნიკოლოზ ძნელაძე.***

ყველა იარაღის საბოლოო მიზანია მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყვანოს მწყობრიდან მოწინააღმდეგე. მთავარი როლი ამ პროცესში მიეკუთვნება ტყვიას. ვაზნის დანარჩენი ნაწილი და თვითონ იარაღი მოწოდებულია უზრუნველყოს ტყვიისთვის აუცილებელი პირობები მიზანთან შესახვედრად. საბჭოთა ტყვია წონით 7,9 გ. დაახლოებით ორჯერ მძიმეა ამერკულ 3,5 გ-იან ტყვიაზე. საბჭოთა ტყვია ამერიკულ ტყვიას თითქმის 300 მ/წამი სიჩქარით ჩამორჩება დაწყებით სიჩქარეში. 100 მეტრამდე დისტანციაზე ამერიკული ტყვია საგრძნობლად სჯობს საბჭოთას გამტანიანობაში. 4,5 მმ ჯავშნიანი ლითონის ფირფიტაზე AK-ს ტყვიამ მხოლოდ ჩაღრმავება დატოვა, მაშინ როცა M-16-ის ტყვიამ მასში ნახვრეტი გააკეთა. მაგრამ როგორც კი იარაღს და ფირფიტას შორის პატარა წინაღობა გაჩნდა ტოტის და ფოთლების სახით, მსუბუქმა ამერიკულმა ტყვიამ „გადაუხვია" ტრაექტორიიდან და თავისუფალი მიმართულებით გაფრინდა. საბჭოთა ტყვიამ კი, როგორც სროლების შედეგებმა აჩვენა, შეინარჩუნა ფრენის მიმართულება და დააზიანა მიზანი. სწორედ ეს გარემოება აიძულებდა ამერიკელებს ვიეტნამში სასწრაფოდ „დაეჩეინჯებინათ," თავიანთი M-16-ები ნაალაფარ AK-47-ზე.



M-16 ბალისტიკით აშკარად ჯაბნის AK-47-ს. ამერიკული ტყვიის უფრო დიდი დაწყებითი სიჩქარე, პირველ რიგში, აადვილებს მიზანში სროლას, რომლებიც სხვადასხვა მანძილზეა განლაგებული. პატარა მაგალითი: 7,62 მმ ტყვიით 200 მ. დისტანციაზე სროლისას ცეცხლის გადატანა 300 მეტრზე სამიზნეს შესწორების გარეშე, გამოიწვევს ტყვიის ტრაექტორიის დავარდნას თითქმის ნახევარი მეტრით, მაშინ როცა 5,56 ტყვია თითქმის 99 პროცენტი მოხვდება სამკერდე ფიგურის მიზანს.

სამხედროების მიერ გამოთქმულ აზრზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე იარაღი ხელში ჭერის თვალსაზრისით სავსებით კომფორტულია. AK-47-ს სროლისას აქვს მსუბუქი უკუცემა, ხოლო M-16-ს თითქმის შეუმჩნეველი, რაც ამერიკულ შაშხანას აძლევს უკეთეს ტყვიათა ჯგუფებს ერთეული სროლისას. თუ, მაგალითად, საბჭოთა კავშირის არმიაში ცაციები არც ისე ძალიან უყვარდათ, ამერიკულ არმიაში ისინი უბრალოდ „ეზიზღებათ". გასროლილი მასრები M-16-ის საკეტის ფანჯრიდან დიდი სისწრაფით მიფრინავდა მარჯვნივ, თითქმის მკაცრად უკან, რითაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა ცაციის მარჯვენა თვალს. ცნობილია ასეთი კურიოზული შემთხვევა: მოკლე ჯერის შემდეგ ცაციას ფარაჯაში გავარვარებული მასრები ჩაუცვივდა და არცთუ სასიამოვნო „ცხელი" მოგონებები დაუტოვა.



უდიდესი უპირატესობა აქვს AK-ს სროლის შემდეგ აუცილებელი დაშლისა და წმენდის პროცესში, რომელიც ისეთი ადვილია, რომ 6 წლის ბავშვიც კი რამდენიმე ვარჯიშით ითვისებს. ასევე AK კარგად იტანს მასში მოხვედრილ ჭუჭყს, მაშინ როდესაც M-16-ისთვის ჭუჭყი სიკვდილის „ტოლფასია". M-16 და AK-47-იც ამჟამად მრავალი ქვეყნის შეიარაღებაშია და, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, უფრო პოლიტიკური კურსის მაჩვენებელია.

AK-47-ზე არაოფიციალურად ცნობილია, რომ გამოშვებულია 50 000 000-ზე მეტი ერთეული, შეიარაღებაშია დაახლოებით 45-ზე მეტ ქვეყანაში და 6 აფრიკული ქვეყნის ღერბზეც კი არის გამოსახული, ხოლო მისი ლეგენდარული გამომგონებელი მიხეილ კალაშნიკოვი ამჟამად ქ. იჟევსკში ცხოვრობს და დანჯღრეული „ტრიდცატადინით" დასეირნობს.

დაბოლოს, ერთი მარტივი ჭეშმარიტება მოკამათეებისათვის – „გემოვნებაზე არ დავობენ".

**გიორგი ქართველიშვილი**

◉ ყველას თავისი აზრი აქვს

# ფაბრიკაციები – სრული სვლით

უტყუარი ნივთმტკიცება თუ ჟამთაბერის დასტური მათთვის!...

დავუშვათ ეს ასეა, საპასუხოდ ამავე სათვისტომოს შემხვედრი კითხვა შევუბრუნოთ, – ჩვენ, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, დღეს ოკუპანტებისაგან, გამოძევებულები ჩვენი ისტორიული სამკვიდრებლიდან, ვინარჩუნებთ რაიმე სახის უფლებას ეჩმიაძინ-ერევანში თვითდამკვიდრებაზე? ისიც ხომ პონტო-კავკასიის ნაწილია?! რა თქმა უნდა, არა, ასეთი უფლება ჩვენ, ქართველებს არ გვაქვს (არც ვითხოვთ)!

მაგრამ საქმეც ისაა, რომ არმენი არ გახლავთ პონტო-კავკასიის ავტოხთონი, იგი არ შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში, მიუხედავად ამისა, სრულიად კავკასიაში არმენი ერი სახლიკაცი ხალხია და მის ეროვნულ-სახალხო უფლებებს თავის კუთვნილ მოსაზღვრულობაში არავინ აყენებს და ვერც დააყენებს ეჭვქვეშ.

ახლა კი სიტყვა არმენთა ე. წ სათვისტომოს „Трабзон-Ардвин-Батум"-ს გადავცეთ:

1. Àðìÿíñêèé íàðîä ÿâëÿåòñÿ àâòîõòîííûì ýòíîñîì íà òåððèòîðèÿõ Ïîíòî-Êàâêàçñêîãî ðåãèîíà, ñîñòàâëÿþùåé ÷àñòüþ êîòîðîãî ÿâëÿåòñÿ Àáõàçèÿ. Àðìÿíå Àáõàçèè è â ïðîøëîì, è â íàñòîÿùåì îòëè÷àëèñü ïðèíöèïèàëüíûìè ïðèçíàêàìè àâòîõòîííîãî ýòíîñà, êîòîðûå ïðîÿâëÿþòñÿ, â ÷àñòíîñòè, â èñòîðè÷íîñòè ïðîæèâàíèÿ íà äàííûõ òåððèòîðèÿõ, â êîìïàêòíîñòè ðàññåëåíèÿ è çíà÷èòåëüíîì ÷èñëåííîì ïðèñóòñòâèè íà äàííûõ òåððèòîðèÿõ. ßâëÿÿñü àâòîõòîííûì íàðîäîì íà èñòîðè÷åñêèõ òåððèòîðèÿõ ñâîåãî ðàññåëåíèÿ, àðìÿíå Àáõàçèè â ïåðèîä âîåííûõ äåéñòâèé íà÷àëà 1990-õ ãîäîâ íà òåððèòîðèè áûâøåé Àáõàçñêîé ÀÑÑÐ ñ îðóæèåì â ðóêàõ çàùèùàëè ñâîè ïðàâà êîðåííîãî ýòíîñà Àáõàçèè. Ïðåäñòàâèòåëè àðìÿíñêîãî íàðîäà Àáõàçèè âîåâàëè íå ïðîòèâ íàðîäà Ãðóçèè, îíè ñðàæàëèñü ïðîòèâ íàöèîíàëèñòè÷åñêè íàñòðîåííûõ âîåííûõ è ïîëóâîåííûõ ôîðìèðîâàíèé, îáðóøèâøèõñÿ íà òåððèòîðèè ðàñïàâøåéñÿ Ãðóçèíñêîé ÑÑÐ, êîòîðûå ðåøèëè ïóò¸ì âîéíû âîñïðåïÿòñòâîâàòü ïðàâó íàðîäà Àáõàçèè îïðåäåëÿòü ñâîé ïîëèòè÷åñêèé ñòàòóñ ñàìîñòîÿòåëüíî.

2. Àðìÿíå Àáõàçèè ÿâëÿþòñÿ çàêîíîïîñëóøíûìè, ñîçèäàòåëüíûìè è ïðåäàííûìè ñâîåé Ðîäèíå íàðîäîì. Ïîíòî-Êàâêàçñêèé ðåãèîí - ýòî ÷àñòü òåõ òåððèòîðèé, íà êîòîðûõ àâòîõòîííûé àðìÿíñêèé íàðîä ïîäâåðãñÿ Ãåíîöèäó ñî ñòîðîíû Òóðöèè â ïåðèîä êîíöà XIX - ïåðâîé òðåòè XX âåêà. Èñòîðè÷åñêàÿ ïàìÿòü àðìÿí äèêòóåò ïîñòîÿííîå ïîâûøåíèå ñâîåãî ïîëèòè÷åñêîãî, ñîöèàëüíîãî è ýêîíîìè÷åñêîãî âåñà â ñàìîïðîâîçãëàøåííîé ðåñïóáëèêå, êîòîðûé áû ñ íåîáõîäèìîñòüþ ñî÷åòàëñÿ ñ âåäóùåé ïîëèòè÷åñêîé ðîëüþ òèòóëüíîãî ýòíîñà ðåñïóáëèêè (àáõàçîâ). Òåì áëàãîïðèÿòíûìè ïðèçíàêàìè ãåîïîëèòè÷åñêîãî è ãåîýêîíîìè÷åñêîãî õàðàêòåðà, êîòîðûìè ðàñïîëàãàåò Àáõàçèÿ (â ÷àñòíîñòè, âûõîä ê ìîðþ) äîëæíû ïîëüçîâàòüñÿ âñå ãðàæäàíå ðåñïóáëèêè. Èñòîðè÷åñêàÿ æå ïàìÿòü àðìÿí Àáõàçèè, êàê è ëþáîãî àðìÿíèíà, ãðàæäàíèíà êàêîé-áû ñòðàíû îí íå áûë è ãäå áû îí íå ïðîæèâàë, ãîâîðèò îá îñîáûõ ÷óâñòâàõ àðìÿí ê ñâîåé èñòîðè÷åñêîé Ðîäèíå - Àðìåíèè. Ïîýòîìó ëþáûå èíèöèàòèâû àðìÿí Àáõàçèè ïî óâåëè÷åíèþ ñâîåé ðîëè â ðåñïóáëèêå äîëæíû, êðîìå ïðî÷åãî, ó÷èòûâàòü çàòðóäíèòåëüíîå òðàíñïîðòíîå ïîëîæåíèå Ðåñïóáëèêè Àðìåíèÿ, îáðàçîâàâøååñÿ è íàðàùèâàåìîå ñî ñòîðîíû Àçåðáàéäæàíà è Òóðöèè.

Îïóáëèêîâàíî 14:25 30.12.2006
Äîêóìåíò: http://www.regnum.ru/news/762989.html

ერიჰაა, აი, მადა!.. ვერაფერს იტყვი, ოქრომჭედლური სიზუსტით იციან, როგორ აკეთონ საქმე, ანუ კი არ წერონ, კერონ საკუთარი ისტორია. ამასობაში ჩვენი საინფორმაციო საშუალებებით (მერე რა რომ არასამთავრობოა, წინამდებარე არმენული სათვისტომოც ხომ არასამთავრობო ორგანიზაციაა!), კინაღამ სამგორ-დიღმის გადასარბენამდე დაგვყავს სრულიად საქართველო. არადა, თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული სისწორისა და სამართლიანობის აღდგენას, რომელიც პონტო-კავკასიის სახელმწიფოების, ქვეყნებისა და ხალხების ცნობიერ მიმოქცევაში თავისი ჭესმარიტი შინაარსითაა ასაღორძინებელი, როგორც პასუხი და ქმედითი საპირწონე ნებისმიერ თვითმარქვიათა დიდმპყრობლური „გაკავკასიელების" მცდელობათა მიმართ.

ასეთ ძალისხმევას, ისტორიული სისწორის აღორძინებასთან ერთად, სჭირდება პონტო-კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებში იმპერიათა მიერ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შექმნილი ცრუ სტერეოტიპების დემონტაჟი, რომლის ადგილზე გადაუდებლადაა აღსადგენი იბერიულ-კავკასიური ნათესაობის შეგნება, რაც მოსახერხებელია პონტო-კავკასიისათვის საერთო სატკივარის სახლიკაცური ჭირისუფლობით, კერძოდ, ამ შემთხვევაში ხსენებულ რეგიონში იმპერიათა მიერ განხორციელებული ხალხთა დენაციონალიზაცია, მასობრივი რეპრესიები და ეთნიური წმენდა უნდა გადავაქციოთ ჩვენი ხალხების ურთიერთმოძიების ქვაკუთხედად, ამავე დროს აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაჰაჯიროების აღმგველი შედეგები განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), რომლის 140 წლისთავი წლეულს სრულდება, (საერთოდ კავკასიის დენაციონალიზაცია და ეთნიური წმენდები განსაკუთრებული სისასტიკით XVIII-XIX-XX საუკუნეებში გამოვლინდა. იგი დღემდე იჩენს ხოლმე თავს რეციდივული აფეთქებებით, ამდენად, ეს თემა დიახაც არის ის საკითხი, რომელიც შეიძლება ვაქციოთ პონტო-კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ანტიიმპერიული მოძრაობის საფუძვლად).

როგორც ვხედავთ, იმ დროს, როდესაც ქართველი არასამთავრობოები საკუთარი ხელით ქართულ წარწერებს შლიან და მათ ადგილზე უცხოენოვან, საეჭვო და საკამათო მოწოდებებს აკრავენ, ყოველივე ამის გამო ჩვენი სატახტო გადაივსო „მერიოტებით", „ქორთიადებით", „ვრონცოვებით", „არამიანცებით", როცა ქართულ თვალსაწიერში ფეხს იკიდებს რუსულ-ინგლისურთან ნაზავი ჩიქორთული, როცა ჯეოგარული არსი ლამის რჯულისკანონად გვექცა, ჩვენი არმენი სახლიკაცები ჭღერადი ქართული სახელწოდებებით აკანონებენ თავიანთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა მათი მოთხოვნები რამდენადმე ძველმოდური რჩება, ისევ მიწას ითხოვენ, მამულს გვედავებიან, არადა, მათაც ჩვენს გასარავლიანებულ ცნობიერებაში ავტონომიური მოსაზღვრულობის სახით რომ ჩაიწაღდონ ფეხდასადგმელი სივრცე, სახვალიოდ ჭკვიანური თადარიგი იქნება მათთვის.

არმენ მიმომხილველთა ერთმა ძალიან ყალბისმქმნელმა ნაწილმა, ინტერნეტით, წლეულს, 25 იანვარს გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „Армянский вопрос в Абхазии глазами грузинских СМИ".

სხვებთან ერთად მასში ჩემს მიერ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული წერილების განხილვა საკმაოდ ჩასაფრებული ყურადღება ეთმობა და ასეთი შეფასებით იწყება: „Серги Саджая, который спровоцировал новый всплеск внимания к данной теме" ... რა თქმა უნდა, ისინი მეც და სხვა ავტორებსაც არმენთა წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეებად გვსახავენ. ამ შემთხვევაში მათ განსაკუთრებულ სამიზნედ უქცევიათ ჩემი პუბლიკაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (2006წ. 9ნოემბერი), რომელშიც მხილებულია ზოგიერთი არმენის წვლილი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), ქართველთა გენოციდისა და ეთნიური წმენდის დროს.

სამაგიეროდ კრინტიც არაა დაძრული იმავე წერილში დამოწმებულ ოვანეს თუმანიანის მოწოდებაზე არმენთა ზოგიერთ ულირს საქციელთან დაკავშირებით, ჩემს საგანმანათლებლო საქმიანობაზე არმენ ახალგაზრდებში, როცა მათ პირობებს ვუქმნიდი, აფხაზეთში მშობლიური ისტორიის, ენისა და ლიტერატურის შესასწავლად.

მე ძალიან ნაკლებად მაღელვებს, თუ რას დაწერენ ისინი ჩემზე, რამეთუ, ამგვარი ხუნდების გაუვნებელყოფაში დიახაც მიმაჩნია ჩემი თავი გამოზრძმედილ კაცად.

მე სხვა რამ მტკივა, – რად სჭირდებათ ამ ძალებს ქართველი ერისგან საეთნოდივერსიო ნედლეულის შექმნა, ხოლო საქართველოს გადაქცევა ერთ საეთნოფაბრიკაციო საწარმოდ, ვინ ოცნებობს ქართველი ერის ცოდვის მორობაში დამკვიდრებას? ვის სურს საქართველოს მოსახლეობა წინ გარეკილ ჯოგურ სიმრავლედ გაიპიროვნოს?!

სამწუხაროდ, ამ გარე ძალების გასწვრივ, ჩვენს ჭერქვეშ. დღევანდელობის წიაღში თავზარდამცემი უდარდელობითა და უვიცობით იქმნება წინდაუხედავთა პოლიტიკური ტერმინოლოგია თუ დივერსიული სტერეოტიპი, უხვალდღეობაში მოხვიხვინე „ღირებულება" თუ დერეფნის მოვალეობა, რომელიც ჩასაფრებული ძალებისათვის ერთ დროს ნივთმტკიცებად დადგინდება საქართველოს „არაქართულობის" სამტკიცებლად. მოვა დრო, იგი ნივთმტკიცებითი დასტური გახდება ყალბისმქნელთა ისტორიული ფოლიანტებისათვის, რათა ქართველი ერის ბინადრობის ადგილზე ჩაინაცვლოს საგანგებოდ შერჩეული ეთნონედლეულის უცხო სხეული.

ეს მიწიერ ცოდვისშვილთა გეგმაა, მაგრამ საქართველოს მართლა ჰყავს მფარველი – ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წილხვედრილობა.

**სერგი (გიორგი) საჯაია,**
**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.**

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისი და სოხუმი უბრუნდებიან მოლაპარაკების მაგიდას. საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ეგიდით, რომელშიც შედიან შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი, ჟენევაში გაიმართება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისადმი მიძღვნილი კონსულტაციები



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## თბილისის და სოხუმის შეხვედრა ჟენევაში

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისი და სოხუმი უბრუნდებიან მოლაპარაკების მაგიდას. საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ეგიდით, რომელშიც შედიან შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი, ჟენევაში გაიმართება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისადმი მიძღვნილი კონსულტაციები.**

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესი შეწყდა სოხუმის გადაწყვეტილებით 2006 წლის ზაფხულში. მაშინ საქართველომ შეიყვანა არმიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები აფხაზეთის კოდორის ხეობაში, ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის ერთადერთ რეგიონში, რომელსაც 1992-93 წლების სამხედრო კონფლიქტის შემდეგ აკონტროლებს თბილისი. ხეობის დემილიტარიზაციის შესახებ შეთანხმების დარღვევის გამო შეშფოთება რუსეთმაც გამოთქვა. აპრილში კოდორის ხეობაში შექმნილი სიტუაციის შესახებ იმსჯელებს გაეროს უშიშროების საბჭო. როგორც თბილისი ირწმუნება, ხეობაში საჯარისო ნაწილები არ არის, იქ დარჩნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები, ხოლო გასულ წელს „კრიმინალი ელემენტებისგან" ხეობის გაწმენდის შედეგად კოდორში კვლავ მიეცათ მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა მეთვალყურეებსა და რუს სამშვიდობოებს.

მიმდინარე წლის თებერვლის დამდეგს სოხუმმა გამოთქვა ეჭვი ჟენევის შეხვედრაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ და თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ აფხაზეთის გალის რაიონში გაიტაცეს თვითაღიარებული რესპუბლიკის ორი სახელმწიფო მოხელე. ამ ადამიანების გატაცებას აფხაზეთის ხელისუფლება ქართულ მხარეს აბრალებს, რომელიც, სოხუმის აზრით, თითქოს ამზადებდეს ვითარების დესტაბილიზაციას გალის რაიონში და ამ მიზნის მისაღწევად დივერსიულ ჯგუფებსაც კი იყენებს.

როგორც თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის წყარომ განაცხადა, აფხაზეთში მოიწვიეს უშიშროების საბჭოს სპეციალური თათბირი, რომელზეც იმსჯელეს, საჭირო იყო თუ არა ემისრების გაგზავნა ჟენევაში. გადაწყვიტეს, რომ აფხაზთა დელეგაცია მაინც ჩავიდოდა შვეიცარიაში თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას მეთაურობით, რათა არ გაენაწყენებინათ შეხვედრის ორგანიზატორი — გაერო, აგრეთვე ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოზიცია ქართული მხარის მოქმედების თაობაზე, რომელიც სოხუმის აზრით, ხელოვნურად ცდილობს დაძაბულობის გამწვავებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. წყარომ აღნიშნა, რომ აფხაზეთი კვლავ არ დათანხმდება საქართველოსთან პირდაპირ მოლაპარაკებას, და ამის მიზეზია როგორც კოდორის ხეობაში შექმნილი პრობლემები, ისე გალის რაიონში არსებული დაძაბულობა.

ჟენევის მოლაპარაკების გამართვის წინ კი აფხაზეთში შედგა ადგილობრივი არჩევნები, რომელიც გახდა თავისებური რეპეტიცია 4 მარტისთვის დანიშნული არჩევნების წინ. ხელისუფლების საქალაქო და რაიონულ ორგანოებში 169 ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა 268 კანდიდატი. სოხუმისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო გაესვა ხაზი იმისთვის, რომ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ გალის რაიონის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები ქართველებიც. ამ ბოლო ხანებში გალის რაიონს სტიქიურად დაუბრუნდა ომის დაწყებამდე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ 90 ათას ქართველთა დაახლოებით ორი მესამედი.



11 თებერვალს გალში ჩავიდა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. ნაშუადღევისთვის მან ასეთი განცხადება გააკეთა: აუცილებელი 25 პროცენტიდან გალის რაიონში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 30 პროცენტმა". მან გასცა ამ რაიონში უშიშროების ზომების გაძლიერების ბრძანება. „გალის რაიონში მკაცრად უნდა აღიკვეთოს სააკაშვილის რეჟიმის ნებისმიერი პროვოკაციული მოქმედება", — თქვა ბაღაფშმა.

დღის 3 საათისთვის გალის რაიონში აფხაზეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობდა რაიონის მცხოვრებთა 50 პროცენტზე მეტი. ქართული ტელეკომპანია „რუსთავი-2" გალში თავის წყაროების დამოწმებით იტყობინებოდა, რომ ქართველი მოსახლეობა ძალდატანებით მიჰყავდათ საარჩევნო უბნებში.

„როგორც ამ არჩევნებს, ისე 4 მარტისთვის დანიშნულ კენჭისყრას არ ცნობს არც საქართველო და არც საერთაშორისო გაერთიანება, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ. — ჩვენ ასევე მხარს უჭერთ იმას, რომ რუსეთმაც უფრო მკაცრი და ერთმნიშვნელოვანი პოზიცია დაიკავოს ასეთი არჩევნების მიმართ. აფხაზი სეპარატისტები არ უნდა გრძნობდნენ, რომ რუსეთი მათ მხარს უჭერს".

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## ევროპის საბჭოს კომისარი საქართველოს ეწვევა

**ევროპის საბჭოს კომისარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში თომას ჰამარბერგი ეწვევა საქართველოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და აჭარას, სადაც გაეცნობა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას. როგორც სტრასბურგიდან გვაცნობეს, ვიზიტი 12-18 თებერვალს გაიმართება.**



მოელიან, რომ ვიზიტის ფარგლებში თომას ჰამარბერგი შეხვდება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, აგრეთვე თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. დაგეგმილია მისი შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ევროპის საბჭოს კომისარი მოინახულებს ასევე თავისუფლების აღკვეთის ადგილებს, ბავშვთა სახლებს და ინვალიდთა ინტერნატებს. ევროკომისრის ვიზიტი საქართველოში არ უკავშირდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განხილვას, რომელიც მიმდინარე წლის აპრილისთვის არის დანიშნული.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემა თავდაპირველად უნდა განეხილათ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იანვრის ბოლო სესიის ფარგლებში, მაგრამ ასამბლეის სხდომის დაწყების წინ გადაწყდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა მომდევნო სესიისთვის გადაედოთ. ასეთი გადაწყვეტილება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა რომ თბილისში დაბრუნდა რუსეთის ელჩი. როგორც მაშინ განუმარტა ჟურნალისტებს რუსეთის დელეგაციის მეთაურმა კონსტანტინ კოსაჩოვმა, „ბიურომ დაავალა ასამბლეის ორ მომხსენებელს, რომ განეგრძოთ მუშაობა, და საჭიროების შემთხვევაში ამ თემას დაბრუნებოდნენ მიმდინარე წლის აპრილში, როცა დაგეგმილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგი სესიის გამართვა".

„ბიუროზე დიდი პოზიტიური შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ გადაწყდა თბილისში რუსეთის ელჩის დაბრუნება, ორ ქვეყანას შორის საფოსტო ურთიერთობის აღდგენა; აგრეთვე ქართული მხარის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ", — თქვა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

## კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ქართული პოლიციის კონტინგენტის რაოდენობა შემცირდება

**კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ქართული პოლიციის კონტინგენტის რაოდენობა ყოველწლიურად შემცირდება ამ რეგიონში კრიმინოგენური ვითარების სტაბილიზაციასთან დაკავშირებით. ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ. „ამჟამად კრიმინოგენური სიტუაცია კოდორში სტაბილურია, და, თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ესკორტზე თავდასხმასთან დაკავშირებულ ინციდენტს, ამ თვეების განმავლობაში რეგიონში რაიმე მნიშვნელოვანი ექსცესი არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყოველთვიურად შევამცირებთ ზემო აფხაზეთში პოლიციის კონტინგენტის რაოდენობას", — თქვა ზღულაძემ.**



შეგახსენებთ, რომ 2006 25 ივლისიდან კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შეიყვანეს ქართული პოლიციის ქვედანაყოფები. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილს უწოდეს „ზემო აფხაზეთი". აფხაზურმა მხარემ მკაცრად დაგმო ეს ფაქტი და განაცხადა, რომ საქართველომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებით ეჭვქვეშ დააყენა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესი.

REGNUM


## განცხადება

განხორციელდა ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების შპს „კომპანია-ცენტრი"-ს და შპს „რეესტრ-ცენტრი"-ს შერწყმა შპს „ICT დელამენთან". აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „კომპანია-ცენტრმა" და შპს „რეესტრ-ცენტრმა" შეწყვიტა ფუნქციონირება და მათ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს „ICT დელამენი".

შპს „ICT დელამენს" შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი", შემოკლებული დასახელება — „საქართველოს რეგისტრატორი".

საზოგადოების მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 74ა, VII სართული.

საკონტაქტო ტელეფონები: 91-31-42, 25-15-60, 25-19-60, 22-53-51.



„ქ. თბილისში დოქის ქ. შეს. №4-ში მდებარე კერძო სახლთან დაკავშირებით ოლღა კუკულაძის მემკვიდრეებს გთხოვთ გამოცხადდეთ ადვოკატურაში მდებარე (ქ. თბილისში, ჩუღურეთის რ-ნი, მოსე გოგიბერიძის ქ. №18). გამოუცხადდებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით სახლზე გაუქმდება საკუთრების უფლება".

ადვოკატი თ. ბაღელია



## განცხადება

სს „იმუნოფარმის" აქციონერებს გიწვევთ სადამფუძნებლო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 9 მარტს დღის 12 საათზე ქ. თბილისში, გოთუას ქ. №3-ში.

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების წესდების დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. საწესდებო კაპიტალისა და დამფუძნებელთა წილების განსაზღვრა;
4. სხვადასხვა.

**კრების სააღრიცხვო თარიღია 2007 წლის 23 თებერვალი.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (ძაღლების) პრივატიზებას:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 1992 | 2175 | 100 | 700 |
| 2 | [illegible] | [illegible] | 2000 | 1380 | 100 | 400 |
| 3 | [illegible] | [illegible] | 2000 | 1550 | 100 | 500 |
| 4 | [illegible] | [illegible] | 1997 | 1300 | 100 | 400 |
| 5 | [illegible] | [illegible] | 1999 | 1550 | 100 | 500 |
| 6 | [illegible] | [illegible] | 2000 | 1400 | 100 | 450 |
| 7 | [illegible] | [illegible] | 1998 | 1500 | 100 | 500 |
| 8 | [illegible] | [illegible] | 1994 | 3800 | 200 | 1100 |
| 9 | [illegible] | [illegible] | 1994 | 1100 | 100 | 300 |
| 10 | [illegible] | [illegible] | 1998 | 350 | 50 | 100 |
| 11 | [illegible] | [illegible] | 1996 | 300 | 50 | 100 |
| 12 | [illegible] | [illegible] | 1992 | 1900 | 100 | 600 |
| 13 | [illegible] | [illegible] | 1996 | 2500 | 100 | 750 |
| 14 | [illegible] | [illegible] | 1978 | 200 | 50 | 60 |
| 15 | [illegible] | [illegible] | 1978 | 200 | 50 | 60 |

| | [illegible] | [illegible] თარიღი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე" აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული გერმანული ნაგაზი „ქვეი" (ძუ, შავი რუხი) | 12.11.2002წ. | 35 | 5 | 10 |
| 17 | შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული გერმანული ნაგაზი „ლუდუ" (ძუ, შავი რუხი) | 19.05.2002წ. | 35 | 5 | 10 |

**შენიშვნა:** მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06 წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად, აუქციონში მონაწილეთა განცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 8 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 9 მარტს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური ძ, ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: **გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-29-94.**

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 8 თებერვლის №5 (504ძ-ში.

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. ქ. თბილისის №146 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 6,5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯის" სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. ქ. თბილისის №119 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 7 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯის" სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ. თბილისის №24 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 7,5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯის" სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს გენერალური პროკურატურის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (2 ავტომანქანისძ ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის ღირებულება შეადგენს 210 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯის" სიდიდე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 30 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06 წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად, აუქციონში მონაწილეთა განცხადება მიმდინარეობს 2007 წლის 12 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 14 მარტს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალურიძ, ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: **გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-29-94.**

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 8 თებერვლის №5 (504ძ-ში.

## სს „საქართველოს ხის გადამამუშავებელი კორპორაცია"

### წალენჯიხის რაიონი, სოფელი ლია

## აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

**1. საზოგადოების გენ. დირექტორი;**
**2. საზოგადოების მთავარი ბუღალტერი;**
**3. იურისკონსულტი.**

პირებს, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, წაეყენება შემდეგი მოთხოვნები.

**1. გენ. დირექტორი:**

– ასაკობრივი შეზღუდვა – არა უმტეს 50 წლისა;

– უმაღლესი განათლება;

დირექტორის ან მმართველი მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება საწარმოში, რომლის ქონება შეადგენდა 3 მილიონ აშშ დოლარს, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობა-დახასიათებით.

გენ. დირექტორის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს თვეში 800 აშშ დოლარის ეკვივალენტს. დამქირავებელთან შეთანხმებით საზოგადოების მუშაობის შედეგების მიხედვით დირექტორს შეიძლება მიეცეს მხარეთა მიერ შეთანხმებული პრემია. თუ დირექტორი ცხოვრობს სამეგრელოს ფარგლებს გარეთ, თვეში ოთხჯერ მას აუნაზღაურდება საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულება საცხოვრებელ ადგილამდე და უკან.

**2. მთავარი ბუღალტერი:**

– ასაკობრივი შეზღუდვა – არა უმეტეს 45 წელი;

– საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემის უმწიკლო ცოდნა;

– სერტიფიკატის ქონა;

– მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება საწარმოში, რომლის ქონება შეადგენდა 3 მილიონ აშშ დოლლარს, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობა-დახასიათებით.

მთავარი ბუღალტრი[redacted]თვიური ანაზღაურება შეადგენს თვეში 500[redacted]ლარის ეკვივალენტს. დამქირავებელთან შე[redacted]თ საზოგადოების მუშაობის შედეგების მიხე[redacted]ავარ ბუღალტერს შეიძლება მიეცეს მხარეთ[redacted]თანხმებული პრემია.

**3. იურისკონსულტი:**[redacted]

– ასაკობრივი შეზღ[redacted]ა უმეტეს 45 წელი;

– საქართველოში მი[redacted]მაღლესი საუნივერსიტეტო განათლება;

– საქართველოს კანო[redacted]ობის უმწიკლო ცოდნა;

– იურიდიულ ფირმაშ[redacted]ირაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდ[redacted]აც დასტურდება შესაბამისი ცნობა-დახასი[redacted]

– გარდა ზემოაღნიშ[redacted]რეტენდენტებმა უნდა გამოავლინონ:

– ინგლისური ან რუს[redacted] უმწიკლო ცოდნა;

– შრომისუნარიანობ[redacted]

– დამქირავებლის ინტ[redacted]ადმი მზრუნველი დამოკიდებულება;

– საჭირო უნარ-ჩვევე[redacted]უთარი მოვალეობების შესრულების შესაძ[redacted] აგრეთვე სამეურნეო სტრუქტურის საქმეების[redacted]უნარი. კომპანიის მუშაკი მოვალეა, ზუსტად[redacted]ხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებ[redacted]ოთხოვნები;

– კონკურსში მონაწი[redacted]თვის საჭიროა მონაწილის წერილობითი განაცხადის შეომოტანა, აგრეთვე, ჯანმრთელობის ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან, საქართველოს შსს-დან ნასამართლეობის არ არსებობის შესახებ ცნობის წარმოდგენა.

– დოკუმენტები წარიდგინება რუსულ ენაზე თარგმნით, კომპანია იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია;

– დასაწყისში მუშაკებთან, რომლებმაც გაიარეს საკონკურსო შერჩევა, დაიდება შრომითი კონტრაქტი სამთვიანი გამოსაცდელი ვადით;

– საკუთარ მოვალეობებს კომპანიის მიერ დაქირავებული მუშაკი შეასრულებს კომპანიის ქარხანაში, რომელიც განთავსებულია მისამართზე: წალენჯიხის რაიონი, სოფელი ლია, 6-დღიანი სამუშაო კვირით. მუშაკები უზრუნველყოფილნი იქნებიან ცხოვრებით საერთო საცხოვრებელში და კვებით კომპანიის ხარჯზე.

– გასაუბრების თარიღი კონკურსანტებს ეცნობებათ ცალკე, კომპანია იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს განაცხადების მიღება და უარი თქვას გასაუბრებაზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტებთან მიზეზის მითითების და პრესაში გამოცხადების გარეშე.

**– დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ.№2, მესამე სართული, ადვოკატი: ნ. მჭედლიშვილი, ტელ: 331 441, მობ: 899 380207, საკონტაქტო პირი ქ-ნ ანნა სუნი 895 347168. E-mail: xlgsh2006@rambler.ru mamomjo@mail.ru**

**საბუთები მიიღება ყოველ დღე 11 დან 18 საათამდე კვირის გარდა, საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2007 წლის 25 თებერვალი.**

● მომდევნო მეტოქე — სერბეთის ნაკრები უფრო სერიოზული გუნდია, ვიდრე პორტუგალია. პირველი ოცეულისა და ასეულის მოთამაშეები ჰყავთ




№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

◎ სასკოლო რეფორმა

# განათლება — ფულიანი და უფულო...

საქართველოს განათლების სისტემაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კერძო სკოლებს. საჯარო სკოლები გადატვირთულია. არადა, არც ისე ცოტაა კერძო სკოლა თბილისში. ვისაც ფულის გადახდა შეუძლია, ბავშვს იქ მიიყვანს. თუმცა გადასახადი საკმაოდ მაღალია, თბილისელი მშობლები უპირატესობას მაინც ასეთ სკოლებს ანიჭებენ, რადგან ამ სკოლების მოსწავლეებს არ სჭირდებათ სხვადასხვა საგანში დამატებითი მომზადება, სპორტზე სხვაგან სიარული. ცნობილია კერძო სკოლები: თბილისის „ახალი ქართული სკოლა ბაგებში“. კერძო სკოლა „ნიუ სქულში“ გადასახადში გათვალისწინებულია დაბალ კლასებში — ორჯერადი, ხოლო მაღალ კლასებში ერთჯერადი კვება. ამ სკოლაში ბაკალავრიატის ორგანიზაციის წარმომადგენელია და სწავლება მისი პროგრამით მიმდინარეობს. გამოირჩევა „წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლა“. აქ 1400 დოლარია ყოველწლიური გადასახადი. მასში შედის ტრანსპორტირება და ორჯერადი კვებაც; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდებული პროგრამის მიხედვით საგნები გაძლიერებულად ისწავლება. განსაკუთრებული აქცენტი ინგლისურ ენაზე კეთდება, რომელიც აქ მეორე კლასიდან იწყება. გაძლიერებულად ისწავლება რელიგია, მე-5 კლასიდან ძველი საბრძოლო ხელოვნება „ხრიდოლიც“ ისწავლება. კერძო სკოლა „ჯეჯილში“ მშობელმა ყოველწლიურად 1000 დოლარი უნდა გადაიხადოს, აქვე ხდება გაკვეთილების შესწავლაც. გაძლიერებულად ისწავლება რუსული, ინგლისური და გერმანული.

„ბაკურ გულუას სკოლაში“ ჯერ 3 კლასია გახსნილი. მოსწავლეები ამ სკოლაში 9-დან 16 საათამდე რჩებიან. სწავლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროგრამით მიმდინარეობს. ინგლისური მე-3 კლასიდან გაძლიერებულად ისწავლება, ხოლო მაღალი კლასებიდან, არჩევით — გერმანული და ფრანგული.

კერძო სკოლა „მერმისმა“ 2004 წელს პირველი მე-11 კლასი გამოუშვა. აქ გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური. სწავლება მიმდინარეობს ოქსფორდის პროგრამის მიხედვით.

მაღალი კლასებისათვის დედაქალაქში ორი კერძო სკოლა არსებობს. პირველია „ამერიკული აკადემია თბილისში“. ამ აკადემიაში საქართველოს მოქალაქისათვის წელიწადში 5000 დოლარია გადასახადი, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის 10 000 დოლარი. აკადემიის კურსდამთავრებულთა უმეტესობა სწავლას ამერიკის უნივერსიტეტებში აგრძელებს. არის მეორე სკოლაც, მას „ბრიტანული სკოლა“ ჰქვია, სადაც მოსწავლეებს ბრიტანეთის უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად ამზადებენ. სწავლის ყოველწლიური გადასახადია 2000 ლარი. ბრიტანულ სკოლაში მოსწავლეებს მე-7 კლასიდან იღებენ.

ამას წინათ თბილისის 98-ე საჯარო სკოლაში განათლებისა და მეცნიერების წარმომადგენლები კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდნენ, ასეთი შეხვედრა პირველად გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების განხილვა. 2005 წლის გაზაფხულზე მიღებული „ზოგადი განათლების კანონის“ თანახმად, ყველა იმ კერძო სკოლამ, რომელიც საჯარო სკოლის შენობაშია განთავსებული, 2007 წლის სექტემბრიდან დაკავებული ტერიტორია უნდა დატოვოს. ყველაზე დიდი პრობლემა, რის წინაშეც კერძო სკოლების გარკვეული ნაწილი დგას, ისაა, რომ კანონპროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ კრძალავს ერთ სასწავლო დაწესებულებაში ორი სკოლის არსებობას. საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მინისტრი ალექსანდრე ლომაია, მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილი, პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი ილია გოცირიძე, ლიცენზირების სამმართველოს უფროსი ნინო წერეთელი, განათლების აკრეტიზაციის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ჩუბინიძე, კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე დავით კახნიაშვილი, საჯარო სკოლების დირექტორები და სხვები. აუცილებელია კერძო სკოლების მიერ ლიცენზირებისა და აკრეტიზაციის პროცესის გავლა. ლიცენზია ერთგვარი საშვია განათლების სისტემაში, ხოლო აკრეტიზაცია — განათლების ხარისხის შემოწმება. ყველაზე კარგი, რაც კი მსოფლიოს პედაგოგიკას შეუქმნია, ეს არის ინდივიდუალური სწავლება.



2003 წელს კერძო სკოლებში თუ 17000 მოსწავლე სწავლობდა, წლეულს კერძო სკოლებში მათი რიცხვი 36 000-ზე მეტია, რაც გამოწვეულია სახელმწიფოში ვაუჩერული დაფინანსებით. დაფინანსების ამ მეთოდმა კერძო სკოლების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

დღეისათვის საქართველოში 257 კერძო სკოლაა, მათ შორის 129 თბილისშია, 66 იმერეთში, შემდეგ მოდის სამეგრელო, ქვემო ქართლი და ა.შ. არც ერთი კერძო სკოლა არ არის ადიგენში, ასპინძაში, ახალგორში, ახალქალაქში და ა.შ.

ამ შეხვედრაზე დაისვა საკითხი, რომ სამინისტროსთან შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს საფუძვლიანად შეისწავლის, მას მხარდაჭერა აღუთქვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა. ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფის შექმნას დაპირდა, რომლის წევრები იქნებიან კერძო სკოლების, მერიის, ეკონომიკური განვითარებისა და განათლების და მეცნიერების წარმომადგენლები.

**ნათელა ფაილოძე**

◎ ჩოგბურთი

# შემდეგი გაჩერება — სერბეთი

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა დევისის თასის გათამაშება ევრო-აფრიკული ზონის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიის წარმომადგენლებს უმასპინძლა. პირველი დღის შედეგები უკვე გაუწყეთ, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ ირაკლი ლაბაძემ სამ სეტში რუი მაჩადოს სძლია (7:5, 6:3№ 7:6ძ, ხოლო ლადო ჩიხლაძემ სტუმართა ლიდერს — ფრედერიკო ჯილის მოუგო 3:1 (6:3, 7:6, 6:7, 6:4ძ. შაბათს წყვილთა პაექრობა გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლაბაძე-ჩიხლაძისა და ჯილი-გასტაო ელიასის დუეტები. ორთაბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ოთხიდან სამ ხელში გამარჯვებული ტაი-ბრეიკებმა გამოავლინა. ჩვენმა ბიჭებმა შეხვედრის ბედის შემობრუნების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს პორტუგალიელებს — 7:6, 6:7, 7:6, 6:3. საერთო ანგარიში გახდა 3:0 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ, რამაც ჩვენს გუნდს ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ადგილი დაუზევა.

**ლეილა მესხი, საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:** „უზომოდ გახარებული ვარ ამ წარმატებით. პორტუგალიელები შესანიშნავი მოთამაშეები არიან, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვაჯობეთ და პირველ ლიგაში ადგილი გარანტირებული გვაქვს, რაც ქართული ჩოგბურთისთვის დიდი წინსვლის მაჩვენებელია. მომდევნო მატჩს 6-8 აპრილს სერბეთში გავმართავთ.“

**ირაკლი ლაბაძე:** „დღევანდელი თამაშით მეც კმაყოფილი ვარ. ლადომაც შესანიშნავად გაართვა თავი რთულ სიტუაციებს. ტაქტიკა აქაც იგივე გვქონდა, რაც ერთეულთა შეხვედრისას: საკუთარი მოწოდებისას ქულები არ დაგვეკარგა და სტუმართა შეტევებისას აგრესიულად გვეთამაშა. თავიდან აქაც გამიჭირდა, რადგან მე და ლადო კარგა ხანია, ერთად არ გამოვსულვართ კორტზე. თანაც ჩოგანს უწინდებურად მარჯვედ ვერ ვიყენებდი მარჯვენა ხელის ტრავმის გამო. ყოველივეს მიუხედავად, ჩვენი საქმე შესანიშნავად გავაკეთეთ და ბედნიერი ვარ.

მომდევნო მეტოქე — სერბეთის ნაკრები უფრო სერიოზული გუნდია, ვიდრე პორტუგალია. პირველი ოცეულისა და ასეულის მოთამაშეები ჰყავთ — ნოვაკ ჯოკოვიჩი და იანკო ტოპარევიჩი. 6-8 აპრილის შეხვედრაში მასპინძლები აშკარა ფავორიტები იქნებიან, თუმცა არც ჩვენ ვაპირებთ წინასწარ მხრების ჩამოყრას. ეს ხომ დევისის თასის გათამაშებაა და ყველაფერია მოსალოდნელი, რაშიც შარშან პოლონეთსა და უნგრეთშიც დავრწმუნდით.

ჩემი ტრავმაც მაფიქრებს. ორიოდე დღის წინათ ვენიდან მწვრთნელმა დამირეკა: მალე ჩამოდი, ერთ ექიმს უნდა გავასინჯო შენი თავიო. შესაძლოა, მკურნალობამ შედეგი გამოიღოს. არადა, ოპერაციას გავიკეთებ, რის შემდეგაც კარგა ხანს ჩოგანს ვერ ვახლებ ხელს, რაც სერბეთში ჩემს თამაშს საეჭვოს გახდის. ეს ყველაფერი ვარაუდია. ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.“

**ლადო ჩიხლაძე:** „დამატებითი სირთულეების თავიდან ასაცილებლად მე და ირაკლის წყვილთა თამაშში თავი არ დაგვიზოგავს. რაღაც ხარვეზები გვქონდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ. სათანადო უნდა მივაგოთ პორტუგალიელ ჩოგბურთელებსაც. შესანიშნავი მოთამაშეები არიან. ფრედერიკო ჯილის ვიცნობ. ბევრჯერ ერთადაც გვივარჯიშია, თუმცა პირველად თბილისში დავუპირისპირდით ერთმანეთს. შევთანხმდით, საერთაშორისო ტურნირებზე, შესაძლებლობის შემთხვევაში, წყვილთა პაექრობისას პარტნიორები ვიქნებით...“

ასპარეზობის ბოლო დღეს, რადგანაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, კორტზე მესამე და მეოთხე ნომრები გავიდნენ. აქ კი წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს: პედრო სოუზამ გიორგი ჭანტურიას სძლია — 6:2, 6:4, ხოლო გასტაო ელიასმა გიორგი ხრიკაძე დაამარცხა — 6:3, 7:6.

**ვაჟა დანელია**

**აქვე გაუწყებთ დევისის თასის გათამაშების უმაღლესი ეშელონის მერვედფინალური შეხვედრების შედეგებს: ჩეხეთი — აშშ 1:4, შვეიცარია — ესპანეთი 2:3, ჩილე — რუსეთი 2:3, გერმანია — ხორვატეთი 3:2, ბელგია — ავსტრალია 3:2, ბელარუსი — შვედეთი 2:3, ავსტრია — არგენტინა 1:4, საფრანგეთი — რუმინეთი 4:1.**

**6-8 აპრილს მეოთხედფინალში ითამაშებენ: რუსეთი — საფრანგეთი, გერმანია — ბელგია, აშშ — ესპანეთი, შვედეთი — არგენტინა.**

◎ მშვილდოსნობა

# დედა-შვილის „ვერცხლი“


ხათუნა ნარიმანიძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 26 ჩუბინი გამოდიოდა.**

ქალებში ყველაზე უკეთ ხათუნა ნარიმანიძემ იასპარეზა. მან მეოთხედფინალში მთავარი კონკურენტი ქრისტინა ესებუა ჩამოიცილა გზიდან, მერე კი იოლად გაუსწორდა დანარჩენ მეტოქეებს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე-მესამე ადგილებიც, შესაბამისად, მისმა ბათუმელმა თანაგუნდელებმა — ოლგა ლადიგინამ და ასმათ დიასამიძემ დაიკავეს.

ზღვისპირელებს ვაჟებშიც არ ჰყავდათ ტოლი. ფინალში გელა ქნელაძემ ლადიგინას ვაჟს — დიმიტრი კირიჩენკოს სძლია. ბრინჯაოს მედლით თბილისელი დიმიტრი სორდია დაკმაყოფილდა.

◎ ინფორმაცია

## „ჰეროინი“ ვერ შემოიტანეს

**სამმართველო „ბათუმის“ სასაზღვრო- სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“ მესაზღვრეებმა საქართველოში „ჰეროინის“ შემოტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის განმარტებით, მესაზღვრეებმა ნარკოტიკების შემოტანის მცდელობა მაშინ დააფიქსირეს, როდესაც მოქალაქე სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლს გადიოდა.



აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პირი საქართველოში შემოსვლას ცდილობდა. ჩხრეკისას მას 10 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

დაკავებული პირი შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს გადაეცა.

## აეროპორტში ძებნილები დააკავეს

**სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ძებნილების დაკავება თბილისის აეროპორტში რეისებზე „დონეცკი-თბილისი“ და „ვენა-თბილისი“ განხორციელდა.**

ძებნილები მაშინ დააკავეს, როდესაც სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლასა და საქართველოს დატოვებას აპირებდნენ.

მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი ორივე მოქალაქე შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს ისანსამგორის სამმართველოს გადასცეს.

**ინტერპრესნიუსი**

**ქართველი ძიუდოისტები პარიზში ერთობლივ წვრთნას გაივლიან ფრანგებთან, ევროპის ჩემპიონატამდე კი ჰამბურგისა და ვარშავის საერთაშორისო ტურნირებზე გამოვლენ**



კალათბურთი

# როგორც საბანი გაგწვდება



**ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატის XII ტურის მშვენება, წესით და რიგით, სტუდენტური დერბი – თსუ – სტუ უნდა ყოფილიყო, თუმცა მას შემდეგ, რაც პოლიტექნიკოსები უსპონსოროდ დარჩნენ და მთავარი მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის თამადობით მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეებით მეტოქეები გაამდიდრეს, მხოლოდ ლოკალური ამოცანის გადასაჭრელად იბრძვიან.** მათი პროგრამა-მაქსიმუმი „პლეი-ოფში" მოხვედრაა. საამისოდ კი უშუალო კონკურენტებთან – თბილისის „დინამოსთან" და „მაკაბისთან" წარმატებით გამკლავებაა აუცილებელი. რაც შეეხება ფავორიტებთან დაუგეგმავი ქულების მოპოვებას, ბიჭები ამასაც შეუპოვრად ცდილობენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, თავს ზემოთ ძალა არაა.

**სუპერლიგის მორიგი შეხვედრების შედეგები:** თსუ-სტუ 104-88 (17:22, 34:21, 25:23, 28:22). **ყველაზე შედეგიანები**: შანიძე – 17 ქულა (თსუ); ბარბაქაძე – 17 ქულა (სტუ). „აზოტი"-„დინამო" 81:58 (22:19, 23:13, 18:10, 18:16). **ყველაზე შედეგიანები:** ტულუში 24 ქულა („აზოტი"); კოლუაშვილი – 21 ქულა („დინამო"). „ავიამშენი"-„მაკაბი" 87:80 (22:15, 14:19, 29:18, 22:28). **ყველაზე შედეგიანები:** ნიკოლაძე – 37 ქულა („ავიამშენი"); შერმადინი – 42 ქულა („მაკაბი"). აქვე გაუწყებთ, რომ ეს უკანასკნელი მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული, რომელიც აპრილში ამერიკის ქალაქ მემფისში იქაურ თანატოლებთან გამართავს საჩვენებელ მატჩს. დავძენთ, რომ ნიკოლაძე ტურის მოთამაშედ აღიარეს.

**17 თებერვალს ვერის ბაღში ითამაშებენ:** სტუ-„ავიამშენი" (12 საათზე), „მაკაბი"-„აზოტი" (14 საათზე) და „დინამო"-თსუ (16 საათზე).

ჭადრაკი

# გურამიშვილთა გორისა

**დამთავრდა საქართველოს თვრამეტწლამდელ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 74 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს.**

გოგონებში ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ბათუმელმა მირანდა მიქაძემ, რომელმაც საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მერი ჟორჟოლიანი. 6-6 ქულა ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით მესამე ადგილი ქრისტინე მჟავიას ხვდა.



ვაჟთა ტურნირში ერთადერთი გოგონა მონაწილეობდა – თექვსმეტწლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი სოფიკო გურამიშვილი. იგი მთელი ასპარეზობის განმავლობაში მეწინავეთა შორის გახლდათ. მერვე ტურში ერთპიროვნულ ლიდერს – გაიოზ ნიგალიძეს დაუზავდა, მეცხრეში კი ზვიად ფაციას სძლია და 7 ქულით ოქროს მედალიც დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ ბოლო ტურის წინ ზვიადსაც 6 ქულა ჰქონდა და მოგების შემთხვევაში მეორე ადგილს ინაღდებდა. სამაგიეროდ, „ვერცხლი" ერგო გიორგი მარგველაშვილს. მართალია, მანაც 7 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ გურამიშვილმა პროგრესის რეგრესით აჯობა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, გაიოზ ნიგალიძემ და ლუკა პაიჭაძემ გაიყვეს.

საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც იყო. გამარჯვებულები თვრამეტწლამდელთა მსოფლიო, ვიცე-ჩემპიონები კი ევროპის პირველობაზე გაემგზავრებიან. რადგანაც სოფიკო გურამიშვილმა ამ ასაკში მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლება ჯერ კიდევ შარშან დაიმსახურა, შესაძლოა მან საგზური გიორგის გაუცვალოს და ევროპელ ვაჟებს გაეჯიბროს, მსოფლიო პირველობაზე კი მარგველაშვილმა იასპარეზოს.

ფიგურული სრიალი

## „ბალტიის თასი" დაისაკუთრეს

**პოლონეთის ქალაქ გდანსკში დასრულდა ფიგურულად მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირი „ბალტიის თასზე"**. ყველასთვის მოულოდნელად, მოცეკვავეთა შორის მთავარი პრიზი საქართველოს წარმომადგენლებმა – ოთარ ჯაფარიძემ და ეკატერინა ზაიკინამ დაიმსახურეს. ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან 28 თებერვალს გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში იუნიორთა მსოფლიო პირველობა იწყება და ქართულ დუეტს გდანსკში მოპოვებული გამარჯვება ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ საპრიზო ადგილებისთვის საბრძოლველად განაწყობს.

ძიუდო

# კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ

**აპრილის პირველ დეკადაში ბელგრადი ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის, ცხადია, ქართველი ფალავნებიც ემზადებიან.** გასულ უქმეებზე მათ პარიზში მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებაში იჭიდავეს. სამწუხაროდ, ჩვენს ბიჭებს ხელი მოეცარათ – ვერც ერთი მათგანი საპრიზო ადგილს ვერ შესწვდა. ნესტორ ხერგიანმა (60), მინდია ხომიზურმა (66), გიორგი ბაინდურაშვილმა (81) და ზვიად ჯანჯალიაშვილმა (მძიმე წონა) მხოლოდ მეშვიდე ადგილები დაიკავეს.



ქართველი ძიუდოისტები პარიზში ერთობლივ წვრთნას გაივლიან ფრანგებთან, ევროპის ჩემპიონატამდე კი ჰამბურგისა და ვარშავის საერთაშორისო ტურნირებზე გამოვლენ.

რაგბი



# ჩამწარებული „ნათლობა"

**ექვსი ერის თასის გათამაშების მეორე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ირლანდია-საფრანგეთის დუელმა.** მასპინძლები პირველად თამაშობდნენ ქომაგებით გადაჭედილ 82-ათასიან „კროუკ პარკზე", თანაც ტრავმირებული ოდრისკოლი და სტრინგერი აკლდათ, თუმცა საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მაინც უგებდნენ მრისხანე მეტოქეს – 17:13 („სამყურებს" ყველა ქულა ოგარამ მოუტანა). სწორედ ამ დროს გაიბრწყინა კლერმა – მან მარტი-ჟოზიონი-მინიონი-ბოსის კომბინაცია გადამწყვეტი ლელოთი დააგვირგვინა და ფრანგები უსაზღვროდ გაახარა – 20:17.

**დანარჩენი შეხვედრების შედეგები**: შოტლანდია-უელსი 22:9, იტალია-ინგლისი 7:20.

**სატურნირო მდგომარეობა:** ინგლისი, საფრანგეთი – 4-4, ირლანდია, შოტლანდია – 2-2, იტალია, უელსი – 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური (24 თებერვალი):** შოტლანდია-იტალია, ირლანდია-ინგლისი, საფრანგეთი-უელსი.

ორბიტაზე

## ისინბაევას მორიგი რეკორდი




**„ეს ბოლო რეკორდი როდია ზამთრის სეზონში", – განაცხადა გახარებულმა ელენა ისინბაევამ მას შემდეგ, რაც დონეცკში ტურნირზე „ჭოკის ვარსკვლავები" დაამხო საკუთარივე მსოფლიო რეკორდი და 4,93 მეტრს გადაახტა.** ადრინდელი რეკორდი შენობაში 4,91 მეტრს უდრიდა. უახლოეს ორ კვირაში ის ალბათ გამოვა ტურნირებზე პოლონეთში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ ეს ისინბაევას მეოცე რეკორდია როგორც დახურული დარბაზებისთვის, ისე სტადიონებისთვის.

## ბექჰემი „რეალს" დაეხმარა

**მართალია, 20 დეკემბრიდან დევიდ ბექჰემი, ამერიკაში მომავალი გადასვლის გამო, ესპანეთის სამეფო კლუბის შემადგენლობიდან გამოიყვანეს, მაგრამ შაბათს, სან-სებასტიანში ის მაინც გამოვიდა „რეალის" შემადგენლობაში „რეალ სოსიედადის" წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ გაახარა გულშემატკივრები.**

36-ე წუთზე, როდესაც „რეალი" მარცხდებოდა 0:1, მეტოქის კარში დაინიშნა საჯარიმო, რაც ბექჰემმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. 47-ე წუთზე კი ვან ნისტერლოის მიერ გატანილმა გოლმა სამეფო კლუბს გამარჯვება მოუტანა.

## მოფარიკავე ამჯობინა

**თუმცა სულ ცოტა ხნის წინათ ყველა ლაპარაკობდა იტალიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალისა და მოდელის ანტონელა მოზეტისა და ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონის – იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის ვაჟიშვილის – დავიდის მოახლოებულ ქორწინებაზე, მაგრამ სულ მალე ლამაზმანმა ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონი ალდო მონტანო შეიყვარა, რომელიც თავის მხრივ კიდევ ერთ ლამაზმანს მანუელა არკურის ეტრფოდა.**

მათ რესტორანში გაიცნეს ერთმანეთი და უკვე საქვეყნოდ სალაპარაკო რომანი გააჩაღეს.



ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე




**იტალია. XXII ტური.** „კიევო"-„ინტერი" 0:2, „რომა"-„პარმა" 3:0, „პალერმო"-„ემპოლი" 0:1,

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი" – 60, „რომა" – 49, „პალერმო" – 39 ქულა.

**ბომბარდირი:** ტოტი („რომა") – 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი"-„კალიარი", „ემპოლი"-„რომა", „პალერმო"-„კიევო".

**ესპანეთი. XXII ტური.** „ბარსელონა"-„რასინგი" 2:0, „ბეტისი"-„სევილია" 0:0, „სოსიედადი"-„რეალი" 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" – 46, „სევილია" – 43, „რეალი" – 41 ქულა.

**ბომბარდირი:** კანუტი („სევილია") – 16 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვალენსია"-„ბარსელონა", „სევილია"-„ატლეტიკო" „რეალი"-„ბეტისი".

**ინგლისი. XXVII ტური.** „მანჩესტერი"-„ჩარლტონი" 2:0, „ჩელსი"-„მიდლსბრო" 3:0, „ნიუკასლი"-„ლივერპული" 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი" – 66, „ჩელსი" – 60, „ლივერპული" – 50 ქულა.

**ბომბარდირი:** დროგბა („ჩელსი") – 17 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ფულჰემი"-„მანჩესტერი", „სიტი"-„ჩელსი", „ლივერპული"-„შეფილდი".

**გერმანია. XXI ტური.** „შალკე"-„ჰერტა" 2:0, „შტუტგარტი"-„ვერდერი" 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე" – 48, „ვერდერი" – 42, „შტუტგარტი" – 41 ქულა.

**ბომბარდირი:** გომესი („შტუტგარტი") – 12 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვოლფსბურგი"-„შალკე", „ვერდერი"-„ჰამბურგი", „აინტრახტი"-„შტუტგარტი".

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



# მიწის აუქციონი

**მცხეთის** მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 122,1ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721409204) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

**საწყისი გასაყიდი ფასია:** 1მ² – 25 ( ოცდახუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადების დღიდან (2007წლის 23 იანვრიდან ) და გაგრძელდება 50 დღის განმავლობაში – 2007 წლის 14 მარტის ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 15 მარტს 12საათსა და 30 წუთზე.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

□მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები (თუ არსებობს ასეთი).

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია:** ***ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.№ 73, ტელ: 8(93) 451444,მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

---

**მცხეთის** მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 400მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720609620) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე. საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ² – 20(ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადების დღიდან (2007წლის 23 იანვრიდან) და გაგრძელდება 2007 წლის 22 თებერვლის ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 23 თებერვალს 12.30 საათზე.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები (თუ არსებობს ასეთი).

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია:** ***ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.№ 73, ტელ: 8(93) 451444, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

---

**მცხეთის** მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 20000მ²(2ჰა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის სარეგისტრაციო № 721411229). საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ² – 105 (ასხუთი ) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადების დღიდან (2007წლის 23 იანვრიდან ) და გაგრძელდება 2007 წლის 22 თებერვლის ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 23 თებერვალს 12.30 საათზე.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. .თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები (თუ არსებობს ასეთი).

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია:** ***ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.№ 73, ტელ:8(93) 451444,მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

---

**მცხეთის** მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი დიღმის ტერიტორიაზე (დავით აღმაშენებლის ხეივნის მე -13 კილომეტრის მიმდებარე ტერიტორიაზე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე:

1) 1900მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434255);

2) 2700მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434208);

3) 1799მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434205);

4) 2247მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434203);

**საწყისი გასაყიდი ფასია:** 1მ² – 40 (ორმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

5) 1186მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434183);

6) 1716მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434184);

7) 7774მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435161);

8) 5127მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435175);

9) 5094მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435181);

10) 2200მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435184);

**საწყისი გასაყიდი ფასია:** 1მ² – 30 (ოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

11) 3200მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435134);

12) 3200მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435135);

**საწყისი გასაყიდი ფასია:** 1მ² – 20 (ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადების დღიდან (2007წლის 23 იანვრიდან) და გაგრძელდება 2007 წლის 22 თებერვლის ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 23 თებერვალს 12.30 საათზე.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები (თუ არსებობს ასეთი).

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია:** ***ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.№ 73, ტელ: 8(93) 451444, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

---

## ინფორმაცია

### ქუმისის მონასტერი გაქურდეს

**გუშინ ღამით გარდაბნის რაიონში დაუდგენელმა პირებმა ქუმისის მონასტერი გაქურდეს.**

ბოროტმოქმედები საკურთხეველში შევიდნენ, სადაც მონასტერში არსებული ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი გატეხეს.

მონასტრიდან წაღებულია სარიტუალო ჭურჭელი და ზიარებისთვის საჭირო შავი ღვინო.

მომხდარის გამო, სამედიცინო დახმარება დასჭირდა მონასტერში მყოფ დედა სალომეს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი თბილისში, კარდიოლოგიის ცენტრშია გადაყვანილი.

### იყიდება სიღნაღის ბაზარი

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სიღნაღში, ერეკლე II ქუჩაზე მდებარე ბაზარსა და მიწის ნაკვეთს ყიდის.**

720 კვ. მეტრი ფართობის საპრივატიზაციო ობიექტი აუქციონზე 16 ათას აშშ დოლარად არის გატანილი.

აუქციონის პირობების მიხედვით, რომელიც 9 მარტს ჩატარდება, მყიდველმა სიღნაღის ბაზარი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სავაჭრო ცენტრად უნდა მოაწყოს. ამისთვის კი არანაკლებ 200 000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ამასთან, საპრივატიზებო ობიექტების ფასადის იერსახე არქიტექტურის ადგილობრივ სამსახურთან უნდა შეთანხმდეს და კახური ელემენტებით გაფორმდეს.

ინტერპრესნიუსი



**თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!**

## ხსოვნა

# ალექსანდრე ტატიშვილი

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი **ალექსანდრე ტატიშვილი.**

პროფესორმა ალექსანდრე ტატიშვილმა შრომითი საქმიანობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი, 1949-51 წლებში უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის დაპროექტებასა და მშენებლობაში.



1951-55 წლებში იყო მოსკოვის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის ინსტიტუტის ასპირანტი და მეცნიერი თანამშრომელი.

1960 წ. არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო წარმოებისა და საშენი მასალების კათედრის დოცენტად.

1961 წელს მიენიჭა უფროს მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1955-59 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. შემდეგ გადაიყვანეს „საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში" ბეტონის ტექნოლოგიისა და ნაკეთობების ლაბორატორიის გამგედ. დანიშნულ იქნა სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „საქსაშენმასალების" გენერალური დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1978 წელს, კონკურსის წესით, არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის ტექნიკისა და ტექნოლოგიის" კათედრის გამგედ.

1983 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

მეცნიერი 110-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომისა და მრავალი მონოგრაფიისა და გამოგონების ავტორია, შექმნილი აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მის შრომებს მაღალი შეფასება მისცეს მოსკოვის საკავშირო ბეტონისა და რკინა-ბეტონის ინსტიტუტის, მოსკოვის საცხოვრებელი სახლების ექსპერიმენტული დაპროექტების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა სპეციალისტებმა.

1987 წელს, ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები ზავრიევი, წილოსანი და სიმონოვი, ნაშრომისათვის „ბუნებრივ ფოროვან შემვსებლებზე დამზადებული ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების კვლევა, შემუშავება და დანერგვა საქართველოს მშენებლობაში", საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

მისი სახელმძღვანელო „საშენი მასალები და ნაკეთობანი" 1983 წელს საუნივერსიტეტო პრემიით დაჯილდოვდა.

პროფესორმა ა. ტატიშვილმა შექმნა თავისი სკოლა მსუბუქ ბეტონებში, მისი ხელმძღვანელობით ათეულობით ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ისინი ბოლო დრომდე მისი უშუალო ხელმძღვანელობით აგრძელებდნენ მუშაობას.

ალექსანდრე ტატიშვილი რესპუბლიკური (ყოფილი სსრკ-ისძ ტექნიკური პირობების და სახელმწიფო სტანდარტების ერთ-ერთი ავტორია. იყო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

პროფესორი ალექსანდრე ტატიშვილი ყოველგვარი ნიღბის გარეშე, უკომპრომისოდ, მართალი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. ბატონი ალექსანდრე თავისი მეგობრების, კოლეგების, მოსწავლეების მიმართ ერთდროულად მაღალი მოთხოვნების და ღირსებების მატარებელი პიროვნება ბრძანდებოდა. ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ბატონი ალექსანდრესავით დაჯილდოებული იყოს ყოველმხრივი კვალიფიციური ცოდნით, პრაქტიკული გამოცდილებით და ადამიანობით. იშვიათია ერთ ადამიანში ამდენი დადებითი თვისების თავმოყრა...

წავიდა ჩვენგან ახალგაზრდობისა და ადამიანის მოყვასი პიროვნება, რომელმაც დიდი ტკივილი დატოვა სტუდენტ ახალგაზრდობასა და კოლეგებს შორის.

# ეთერ კერესელიძე



ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და, ალბათ, ყველას გვიფიქრია სიკვდილზე. შეიძლება ითქვას იგი „სანატრელი" სიკვდილით აღესრულა — დაიძინა და აღარ გაეღვიძა. იქნება, ეს არის მიძინება?..

გარდაიცვალა ეთერ კერესელიძე. 50-60-იანი წლების ულამაზესი ქალბატონი. ამავე წლებში მოღვაწეობდა თბილისის ოპერის თეატრში, ფილარმონიაში, ოპერეტის თეატრში, ვოკალური ხელოვნების ნიჭიერი წარმომადგენელი.

საქართველო არასდროს უჩიოდა ლამაზი ქალების ნაკლებობას და ქალბატონი ეთერიც თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული, ქართული ეშხის და სილამაზის განსახიერება იყო. ულამაზესი, უმამაცესის ხვედრიაო, ამბობდა კ. გამსახურდია და მართლაც ქალბატონი ეთერის მეუღლეც, თავისი თაობის უპირველესი ვაჟკაცთაგანი იყო: შოთა სალუქვაძე — ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი მთავარი რედაქტორი.

ქალბატონი ეთერის ვაჟის, საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი ნიჭიერი პოეტის, პროზაიკოსის ანანია სალუქვაძის, მამამისივით კაცური კაცის ლექსების კრებული მზად არის გამოსაცემად. ქალიშვილი მანანა კი, ბედუკუღმართობის გამო, შორეულ ამერიკაში დასტირის საყვარელ დედას.

ლამაზად იცხოვრე და ულამაზესად წახვედი — მსუბუქი ყოფილიყოს ქართული მიწა შენთვის.

**ლევან ანჯაფარიძე, ალეკო ასლანიშვილი, მერაბ ბერაძე, გურამ გოგიაშვილი, გურამ გომართელი, ზაურ გომართელი, გიორგი გურგულია, მამუკა ვაშაკიძე, ვილენ მარდალეიშვილი, რუსლან რუსია, ჯემალ ჩახავა, თამაზ წივწივაძე, გოგა ხაინდრავა, დათო მხეიძე.**

## გახსენება



# ფიქრია ლაბაძე

ორმოცი დღე შესრულდა, რაც ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი, უანგარო პიროვნება, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **ფიქრია ლაბაძე.**

მან სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სახელოვნად განვლო თავისი მოღვაწეობის გზა დაწყებული ბოლნისის საავადმყოფოს პოლიკლინიკის ექიმი თერაპევტიდან ჩვენი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობამდე.

ფიქრია ლაბაძემ საქართველოში პირველმა აღწერა და შეისწავლა ვიბრალური დაავადების დროს შინაგანი ორგანოების პათოლოგიური მდგომარეობა, ვიბროიარაღებთან მომუშავეთა შორის, რაც შემდეგ დისერტაციის დაცვით დაგვირგვინდა.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ტარდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოში მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა. არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ფიქრია ლაბაძემ დატოვა ნათელი ხსოვნა თავის მეგობრებსა და პაციენტებს შორის. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**სს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოსა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი.**



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზაურ გიორგის ძე წულაია

პანაშვიდი 13, 14 II, 16 სთ-დან 19 სთ-მდე. მისამართი: ქ. თბილისი, ბაგები, მე-2 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 43. გამოსვენება 15 II, 15 სთ. წმინდა გიორგის ტაძრიდან (საბურთალოს სასაფლაო). დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

---

გია მეფარიშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება ცნობილი ქართველი სწავლულ-იურისტის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ზაურ წულაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის, კოლეგის, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ

ალეკო ტატიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

## ინფორმაცია

### ექიმებს სასამართლოში უჩივიან

**ხობის რაიონის სოფელ ხეთაში მცხოვრები კანკიების ოჯახი თბილისში დამწვრობის ცენტრის ექიმების ბესიკ იაშვილისა და გია სვიმონიშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.**

მშობლები მათ მიერ ჩატარებული ოპერაციით უკმაყოფილონი არიან. მათი თქმით, პლასტიკური ოპერაცია იყო არაეფექტური და ექიმებმა პრაქტიკულად მათ თანხა გამოსძალეს.

დაახლოებით 2 წლის წინათ 23 წლის რემა კანკიას გაუკეთდა სახის პლასტიკური ოპერაცია, რისთვისაც მათ 2500 ლარი გადაიხადეს.

### დააკავეს კაბელების ქურდები

**ნაძალადევის რაიონში, 9 ძმის ქუჩაზე „გაერთიანებული ტელეკომის" სატელეფონო კაბელების მოპარვის ფაქტზე პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი დააკავა.**

მძარცველებს სიგნალიზაციის ამუშავებამ შეუშალა ხელი, თუმცა პოლიციის მისვლამდე 100 მეტრი კაბელის გადაჭრა მოასწრეს.

ცნობისთვის, კაბელების ქურდობის ეს უკვე მესამე შემთხვევაა. სიგნალიზაციის დამონტაჟების შემდეგ ქურდების ხუთი ჯგუფია დაკავებული.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა" საკუთარ ინფრასტრუქტურაზე სიგნალიზაცია, რამდენიმე თვის წინათ დაამონტაჟა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 63 წლის; ჩვენს სამსახურში მოხდა შტატების შემცირება, რასთან დაკავშირებითაც უმუშევარი დავრჩი. მაქვს 30 წლის შრომის სტაჟი. გთხოვთ, განმიმარტოთ, როდის მომეცემა პენსიის მიღების უფლება?**

**დავით ნიკურაძე**

**პასუხი:** ჯერ კიდევ 1996 წლის 20 თებერვლიდან მოქმედი კანონის თანახმად, ასაკის პენსია მამაკაცებს მხოლოდ 65 წლის შესრულების შემდეგ ენიშნებათ.

კანონი, შტატების შემცირების მოტივით, სამუშაოდან გათავისუფლებულ პირებზე, პენსიის საპენსიო ასაკის შესრულებამდე 2 წლით ადრე დანიშვნის შესახებ, სამწუხაროდ, ამჟამად აღარ მოქმედებს. ასე რომ, ასაკის პენსია მხოლოდ 65 წლის შესრულების შემდეგ მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: პატივცემულო რედაქცია, თუ შეიძლება თქვენი გაზეთის მეშვეობით განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება პირი აღიარებულ იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად, ვინ მართავს ასეთ შემთხვევაში მის ქონებას და რას ითვალისწინებს კანონი, თუ ეს პირი შემდგომში ცოცხალი აღმოჩნდება?**



**მიხეილ ციხისელი**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილზე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მონდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა აგრეთვე სარჩო უგზოუკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები (თუ ასეთი უგზოუკვლოდ დაკარგულს გააჩნდა).

უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილ-სამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ, მაგრამ მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არ გააჩნია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

№ 27. სამშაბათი, 13 თებერვალი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან 1979 წელს დაბადებული იოსებ ლეთოდიანი, 1974 წელს დაბადებული ზაზა ვაწაძე, 1970 წელს დაბადებული იაგო ქებაძე და მაია ტეტელაშვილი

**◉ ინფორმაცია**

## ქუთაისში ვერტმფრენი ჩამოვარდა



**გუშინ ქუთაისის ავტოქარხნის აეროპორტში თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენი ჩამოვარდა.**

დაშავდა ვერტმფრენში მყოფი 17 ადამიანი, რომლებიც, სავარაუდოდ, სამხედრო პირები არიან.

ვერტმფრენი სენაკისკენ მიფრინავდა, თუმცა შექმნილი ავარიული სიტუაციის გამო, ეკიპაჟმა გადაწყვიტა, ქუთაისში დაშვებულიყო.

დაშავებულები ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## ახალქალაქში ხეტყეს უკანონოდ ჩეხავენ

**გარემოს დაცვის ინსპექციამ ახალქალაქის რაიონის სოფელ არაკოვოში 235 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი ხეტყე ალმოაჩინა.**

ხის მასალის ნაწილი საჩერხში ინახებოდა, ნაწილი კი გადამალული



იყო. საამქრო დალუქულია.

ინსპექციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გარემოს დამცველები ახალქალაქის რაიონში შევიდნენ.

მიყენებული ზარალი 30 ათას ლარს აღემატება.

**ინტერპრესნიუსი**

**◉ ანეკდოტები**

ტიპი ექიმთან მივიდა.

— ბოლოს როდის იყავით ჩემთან? — ეკითხება ექიმი.

— სამი წლის წინათ. მაშინ გამსინჯეთ, მითხარით, რომ ნახევარი წლის სიცოცხლეღა დამრჩა და მკურნალობაც დამინიშნეთ.

— როგორც ჩანს, არასწორი მკურნალობა დამინიშნავს.

* * *



სოფლის გოგო-ბიჭები საბანაოდ მდინარეზე წავიდნენ. მდინარის პირას განცალკევდნენ — ბიჭები მარცხნივ წავიდნენ, გოგოები — მარჯვნივ. გოგოები ბუჩქებს ამოფარებულნი იხდიან ტანსაცმელს. არის ერთი სიცილი და ხმაური.

— გოგოებო, ბიჭები გვითვალთვალებენ!

— ოი, გოგოებო, ბიჭები უკვე ბანაობენ!

— შეხედეთ, გოგოებო, ისინი, მგონი, შიშვლები არიან!

— ოი, გოგოებო, როგორც კი წყალში შევალთ, ისინი ისე დაგვაცხრებიან!

— იცით რა ვქნათ? ზევით ავუყვეთ მდინარეს, იქ სიწყნარეა, არავინ არის და წყნარადაც ვიბანავებთ, — ამბობს ერთი გოგო.

ყველანი უცებ გაჩუმდნენ, შემოტრიალდნენ და მიაშტერდნენ ამის მთქმელს:

— ჩვენ რა, აქ დასაბანად მოვედით?!?!

* * *

საჩუქრების ჩუქება მიყვარს, ყიდვა კი მძულს!

* * *

გუშინ პოლიციის ინსპექტორმა ქალმა დამაკავა და პირადი მაგალითით დამარწმუნა, რომ, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ქალთა შორისაც არიან პედერასტები.

* * *

ცოლ-ქმარი საწოლში წევს.

— ძვირფასო, კიდევ ერთხელ, — ამბობს ცოლი.

— საყვარელო, მეტი არ შემიძლია.

— მგონი, შენ ძალიან ბევრ ლუდს სვამ და ამის გამო შენში ქალური ჰორმონები მძლავრობს.

— არ გეჩვენება, რომ ჩემში ქალური ჰორმონები ამის გამო კი არა, იმიტომ მძლავრობს, რომ ვრეცხავ ჭურჭლეულს, ვამზადებ სადილს, ვრეცხავ და ვაუთოებ თეთრეულსა და ტანსაცმელს, ვალაგებ ოთახებს?

**◉ მასპინძლობდა კიევი**

# გალერეა „ჰობის" მისაბაძი აქცია




**რუსთაველის გამზირს ქვემოთ, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე სამხატვრო გალერეა „ჰობი" საკმაო პოპულარობით სარგებლობს სახვითი ხელოვნების მოყვარულთა შორის. გარდა იმისა, რომ გალერეა რეგულარულად მასპინძლობს ქართველ და უცხოელ მხატვრებს, მისი დირექტორი, შესანიშნავი ახალგაზრდა ქალი და ხელოვნებათმცოდნე ვანდა მუჯირი ხშირად იმასაც ახერხებს, რომ საზღვარგარეთ (უფრო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში) გაიტანოს ამა თუ იმ ნიჭიერი ავტორის ნამუშევარი და ამით პოპულარიზაცია გაუწიოს ეროვნულ სახვით ხელოვნებას.**

აი, ამჯერადაც, ქალბატონ ვანდას ძალისხმევით, კიევში გალერეა **„ტრიფტიქში"** ორ კვირას იყო გამოფენილი გამორჩეული ფერმწერების, ცოლ-ქმარის **მაია რამიშვილისა** და **მამუკა დიდებაშვილის** ფერწერული ტილოები.

— გამოფენას „თბილისური დუეტი" დაარქვეს მასპინძლებმა, — უამბობს „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს ვანდა მუჯირი, — ერთი გენახათ, რა ზღვა ხალხი მოაწყდა გალერეას. მოგეხსენებათ, უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირები საუკუნეებს ითვლის და, ამ ბოლო დროს, იგი უფრო გაძლიერდა. კიევში გამოფენის ჩატანის იდეა კი ეკუთვნის ჩემ ძმას — არქიტექტორ სანდრო მუჯირს, რომელიც ამჟამად ამერიკაშია, იქ უწევს ქართულ მხატვრობას პოპულარიზაციას და დროებით, საქმიანი ვიზიტითაა ჩასული კიევში (სხვათა შორის, ჩვენ ერთად დავაფუძნეთ გალერეა „ჰობი" 1993 წელს.ძ. ჰოდა, დამირეკა კიევიდან, ძალიან აინტერესებთ კიეველებს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება და, თუ მოახერხებ, ჩამოდიო... მეც შევარჩიე მამუკასა და მაიას ნამუშევრები და არც შევმცდარვარ — მართლაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს კიეველებმა.

უნდა გითხრათ, რომ ამ დუეტის გარდა გალერეა „ტრიფტიქის" მცირე დარბაზში კიდევ სამი ქართველი მხატვრის — მერაბ აბრამიშვილის, ალექს ბერდიშევისა და ოთარ გეგელაშვილის ნამუშევრები იყო გამოფენილი და დამთვალიერებელი არც მათ მოჰკლებია. ჩვენ ამ აქციას დავარქვით „კავშირი გულთა შორის", რადგან, გადაწყვეტილი გვაქვს, სულ მალე, გაზაფხულზე კიეველი მხატვრების ნამუშევრები გამოვფინოთ „ჰობში". ეს კავშირები, ცხადია, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორი ერის დაახლოებას, — აღნიშნავს ვანდა მუჯირი.

**ჯანსულ ვაწაძე**

**სურათზე: მაია რამიშვილისა და მამუკა დიდებაშვილის ნამუშევართა გამოფენა ფართოდ გააშუქა უკრაინის პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. აი, ჟურნალ „ტაიმ-აუტის" ერთ-ერთი გვერდი.**

**◉ ინფორმაცია**

## დააკავეს ბერძენი კონსულის ბინის ქურდები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საბერძნეთის კონსულის ბინის ქურდობაში ეჭვმიტანილები დააკავეს.**

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან 1979 წელს დაბადებული იოსებ ლეთოდიანი, 1974 წელს დაბადებული ზაზა ვაწაძე, 1970 წელს დაბადებული იაგო ქებაძე და მაია ტეტელაშვილი.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეჭვმიტანილებს, საბერძნეთის კონსულის ბინის ქურდობის გარდა, ბრალად ედებათ სხვა ბინების ძარცვა.

დაკავებულების პირადი და ბინების ჩხრეკისას, ამოღებულია ფარულად გატაცებული ნივთები და 5000 ევრო. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

**◉ ლარის კურსი**

**13 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3814 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7195 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2290 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0648 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9753 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4792 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4023 ლარი. |

**◉ კადრი**



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში".
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.